№ 48
(11 300)

25 – 28 ივნისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია



ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის XXXVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

თბილისის სპორტის სასახლე
26–27 ივნისი, 1999 წ.

## კანონი, რომელიც არ სრულდება

### ამონაწერი „საქართველოს კანონიდან სპორტის შესახებ“:

თავი მეოთხე
**მასობრივი სპორტი**
**მუხლი 12.** სპორტი სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში

1. ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, ფიზიკური აღზრდა და სრულყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ყველა ტიპის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სასწავლო დაწესებულებების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

2. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების ნორმატივების საფუძველზე სასწავლო დაწესებულება ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობის ჩატარების ფორმებს, მეთოდებსა და ხანგრძლივობას (არანაკლებ ოთხი საათისა კვირაში).

3. ფიზიკურად არაჯანსაღთათვის მეცადინეობა ტარდება რეაბილიტაციის ფარგლებში.

4. ყველა სასწავლო დაწესებულებაში, პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

## SOS

მარტო ბოლო ერთ წელიწადში საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით 52 ათასმა მოზარდმა მიატოვა მეცადინეობა სპორტში.

## ტელემაყურებლებო, მოემზადეთ!

ცნობილი გახდა, რომ სიდნეიდან 2000 წლის ოლიმპიური თამაშები 330 საათი იციმციმებს ტელეეკრანზე, რაც სარეკორდო მაჩვენებელია თამაშების ისტორიაში. ასევე სარეკორდოა ის თანხაც, რაც ოლიმპიადის ტელეტრანსლაციის მოპოვების უფლებისთვის გადაიხადა ცნობილმა ამერიკულმა მაუწყებლობამ ენ-ბი-სიმ — 3,6 მილიარდი დოლარი, თუმცა, ეს უფლება მას 2008 წლამდე აქვს შესყიდული.

ენ-ბი-სი გვპირდება, რომ გაცილებით გაფართოვდება თამაშების გაშუქების არეალი და უპირატესობა არ მიენიჭება მხოლოდ სპორტის პრესტიჟულ სახეობებს. ამასთან, ტელეკამერები ტელემაყურებლისთვის მანამდე უცნობ ობიექტებს მიმოათვალიერებს და ციფრულ ეკრანთან მოკალათებულთ არაერთ საინტერესო მოვლენის დამსწრეს გახდის.

## ევროპის ყველა ჩემპიონატი



იხ. მე–5 გვ.

ესპანეთი 1964



კაცთა ეროვნული ჩემპიონატი
პლეი ოფის მატჩები

## მესამე ადგილისათვის:
## „აზოტი“ – „ვითა“ 2:1
## სტუ – თსუ 2:2



**პირდაპირ** უნდა ითქვას, პლეი ოფის მატჩებისა და მის ირგვლივ შექმნილი ხილული და უხილავი ვნებათღელვიდან გამომდინარე, ჩვენი კალათბურთის სპეციალისტები და ფუნქციონერები იმაზე ოცნებობდნენ, რაც შეიძლებოდა მალე დასრულებულიყო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. ბოლოს სიტუაცია ზღვარგადასულად დაიძაბა და ყოველგვარი უსიამოვნება იყო მოსალოდნელი. ეს განსაკუთრებით საჩემპიონო დუელზე ითქმის.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მეორე მატჩი ისევე დრამატული გამოდგა, როგორც ლიდერთა ბრძოლა უძლიერესი სახელისათვის. თავად განსაჯეთ: თსუ – სტუ-ს ამ შეხვედრაში გუნდები თითო მოგებას ითვლდნენ. სტუ-ს ერთქულიანი ფორა ნახევარფინალიდან გადაჰყვა. თსუ-მ, როგორც იცით, მესამე ადგილისათვის პლეი ოფის პირველი მატჩი მოიგო. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი კრიტიკულ მომენტში დატოვა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა. ახლა, მეორე მატჩში გუნდმა, როგორც იტყვიან, სასწაული მოახდინა და თსუ-ს ბოლო წამებში გამოგლიჯეს გამარჯვება. მატჩის დასრულებამდე რჩებოდა 6 წამი. ტაბლოზე ანგარიში იყო 97:97. ამ დროს ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა სტუ-მ. ორიდან ერთი ტყორცნა მიზანს აცდა კონტრშეტევაზე თსუ გადავიდა, თუმცა დარჩენილი 6 წამი საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მომტანი შეტევისთვის და გამარჯვება სტუ-მ იზეიმა 98:97. მატჩის ბოლო 6 წამის დრამატიზმი დატრიალდა „აზოტისა“ და „ვითას“ შეხვედრაში. ვერც აქ „მოიმარჯვეს“ დარჩენილი წამები ვითელებმა და აქაც ერთი ქულის სხვაობით რუსთაველებს ხვდათ წარმატება 72:71.

**გუშინდელი,** მესამე შეხვედრის წინ „აზოტი“ 2:0 უგებდა „ვითას“ და რუსთაველები ნამდვილად ახლოს იყვნენ სასურველ მიზანთან. მეტოქეთაგან ერთ-ერთი გუნდი უფრო მხნედ გამოიყურება და მეორეს გამძლეობითაც ჯობნისო, ვერავინ იტყვის. დატვირთვა – ფიზიკურიც და მორალურიც ნამდვილად დიდია და სულ მცირე უპირატესობას, თუნდაც თამაშში მეტოქის თავჩენილი სისუსტის ხარჯზე, შეუძლია ერთი გუნდს სიხარული მოუტანოს, მეორეს – განბილება. გახარებით „აზოტმა“ ორჯერ გაიხარა და მესამე შეხვედრაც რომ მოეგო, ყველაფერი დასრულდებოდა – შვებით ამოისუნთქავდნენ ოთარ ხმელიძის შეგირდებიც და ისინიც, ვინც ყოველ დაძაბულ მატჩში, რაღაც საფრთხეს მოელიან. მაგრამ გუშინ რუსთავმა ვერ მოიგო გადამწყვეტი მატჩი, ამჯერად „ვითამ“ იმარჯვა 78:65. ახლა კი შეხვედრათა ანგარიშია 2:1 „აზოტის“ სასარგებლოდ. „ვითა“ მართლაც სასწაულს მოახდენს, თუ მან ზედიზედ კიდევ ორი მატჩის მოგება შეძლო, მაშინ ეს სასწაული მას კიდევ ერთხელ აზეიმებს ჩემპიონობას. გუშინვე, მესამე ადგილისთვის მატჩში, თსუ-მ სტუ-ს სძლია 93:91. აქ შეხვედრათა ანგარიში გათანაბრდა – 2:2.

მ. ფუფუნავა

## საქართველოში წყალბურთის სიკვდილზე ლაპარაკი უსაფუძვლო და გადაჭარბებულია

### ანუ გუნდის შესახებ, რომელიც უკრაინის პირველობის ორ ტურს დაუმარცხებლად ატარებს და საჩემპიონოდაა გამზადებული



I რიგში მარცხნიდან – გიორგი ჯოხაძე, ზურაბ რურუა, ზურაბ ანთელავა, გურამ კოტარია, ლევან კვარაცხელია, ლადო გულორდავა; II რიგში: მწვრთნელი სოსო მაისურაძე, თამაზ მანძულაშვილი, ირაკლი კუპრეიშვილი, ავთანდილ ბაზაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ირაკლი ბაზაძე, დათო კალანდაძე, ილია ბუტიკაშვილი, ლადო გურგენიძე, მწვრთნელი ჯონდო მაჭარაშვილი.

უკრაინის ღია პირველობაში (1985-86 წლებში დაბადებულთათვის) ჩვენი ჭაბუკების მონაწილეობა ქართული წყალბურთის მდიდარი ტრადიციების გახსენებამ განაპირობა და მიმპატიჟებლები არც შემცდარან – თბილისის „ლაგუნა-ვერემ“ პირველი წრე, 8 გუნდთან ჭიდილში, თავის სასარგებლოდ დაამთავრა და 14 ქულით გათამაშების ლიდერად მოგვევლინა. მაშინ ჩვენებმა 2 ქულით გაუსწრეს უახლოეს მდევარს – მარიუპოლელ თანატოლებს. „ლაგუნა“ – „ვერე“ თბილისის მერიის საშეფო სპორტსკოლის (დირექტორი გ. ცქიტიშვილი) გუნდია და ამჯერადაც მერიისა და მისივე სპორტის სამმართველოს (ვ. კანკავა) მატერიალური დახმარებით გაემგზავრა II ტურის მატჩებზე ხარკოვში.

მასპინძლებმა კარგად იციან ჩვენი გაჭირვება, ისიც, რომ საცურაო აუზების პრობლემა გვაქვს და ამჯერად, აუზის ფართობი მნიშვნელოვნად გაზარდეს. ეს სიახლე გათვლილი იყო გამძლეობაზე, მაგრამ ჩვენებმა გაუძლეს ასეთ დატვირთვას, მართალია, I ტუ-

იხ. მე–3 გვ.

# სეოკ-ის საიუბილეოდ!

# 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

ნაწილი მეორე

## 1988–1989 წლები

თბილისის ჭადრაკის სასახლე 6 ოქტომბრის დილიდან ქართული სპორტის სავანედ იქცა. არასოდეს, არც ერთ სხვა ღონისძიებაზე არ შეკრებილა ერთად ასეთი წარმომადგენლობა. ოლიმპიური და მსოფლიო სპორტის თანავარსკვლავედის თვალისმომჭრელ სიკაშკაშეში იბადებოდა ეროვნული სპორტის ახალი ისტორია. ეს დღე არასოდეს ამოიშლება ქართველი ერის მატიანედან.

რაღა თქმა უნდა, უაღრესად ბედნიერად ვთვლი თავს, რომ სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის გახსნა მხვდა წილად. მოსამზადებელი სამუშაოების თაობაზე მოკლედ მოხსენდა დელეგატებს. შემდეგ ტრიბუნა პაატა ნაცვლიშვილს დაეთმო.

ვინც დარბაზში იმ დღეს იმყოფებოდა, დაგვეთანხმება, რომ ასეთი საინტერესო, ყოვლისმომცველად ღრმაშინაარსიანი, აზრიანი და ლოგიკური პარალელებით დატვირთული მოხსენება ოლიმპიურ თემაზე მათ არასდროს მოუსმენიათ. მოხსენებაში მკაფიოდ გამოიკვეთა მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის იდეალები და მნიშვნელობა ანტიკური პერიოდიდან თანამედროვეობამდე. ჩვენი წვლილის წარმოჩენისას ხაზგასმული იყო ისტორიული მემკვიდრეობა, რომ ოლიმპიზმის საწყისებს საქართველოში ღრმად აქვს ფესვები გადგმული შორეულ წარსულში და ჩვენი ისტორია, ერის სულიერი ცხოვრების ამ სფეროში, მხოლოდ საბჭოური ოლიმპიური მოძრაობით არ იწყება. ამ გამოსვლაში გაიჟღერა ოლიმპიზმის პროპაგანდის ისეთი ინსტიტუტების მნიშვნელობამ, როგორიცაა ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიური მუზეუმი, ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციისთვის უკვე შექმნილი იყო. პაატა ნაცვლიშვილმა პირადად შეიტანა დიდი წვლილი თავისივე იდეის ხორცშესხმაში.

მომხსენებელმა ზედმიწევნით მკაფიოდ დაასაბუთა, რომ საქართველოს სწრაფვა ღირსეულად დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი ოლიმპიურ თანამეგობრობაში და ერთიან ოლიმპიურ ოჯახში, არის ისტორიული აუცილებლობა და არა რაღაც ახირება, როგორც ეს ცენტრს სურდა წარმოეჩინა საზოგადოებრიობის თვალში.

ღრმაეროვნული სულისკვეთება და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პათოსი გასდევდა ლაიტმოტივად პირველი ქართული ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის, სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის რამაზ გოგლიძის, რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტის თამაზ კვაჭანტირაძის, ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლის დავით გამყრელიძის, შაში ისრაელის თერთმეტგზის ჩემპიონის ჯემალ სეფიაშვილის, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" გენერალური დირექტორის, ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ნიკოლოზ ცხაკაიას, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა გამოსვლებში.

სეოკ-ის პირველ შემადგენლობაში წევრთა რაოდენობა სოკ-ის რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით იყო განსაზღვრული. კონფერენციამ უმნიშვნელო ცვლილებებით გაიზიარა შეთავაზებული შემადგენლობა. პრეზიდენტის კანდიდატურა კი ულტერნატივოდ, ერთხმად მიიღო. დარბაზმა მქუხარე ოვაციით, ფეხზე ადგომით დაადასტურა, რომ მხარს უჭერს ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს.

იმავე დღეს გამართულ ახალშექმნილი სეოკ-ის პირველ სესიაზე ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს ვიქტორ სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად — დავით კინწურაშვილი, აღმასკომის წევრებად — ვაჟა კაჭარავა, ნოდარ გუგუშვილი, დავით კუპრეიშვილი, დავით სულაქველიძე, ივანე ყიფიანი, ავთანდილ ციბაძე, ნიკოლოზ ცხაკაია და ზურაბ წერეთელი.

ყველა ახალ საქმეს, უმალვე რომ გამოუჩნდებიან ხოლმე მოქიშპენი და მოშურნენი, ძველია, არახალია. მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით თუ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც ეყოლებოდა ვინმე ჩასაფრებული. თანაც ისეთები, ბოლო მომენტამდე, რომ ნიღბავენ თავს, შემდეგ კი აფთარივით დაესხმიან „საკბილოს". აგერ უკვე 10 წელიწადია, ვცდილობ თავიდან მოვიშორო ის უსიამოვნება, რომელიც ჩვენმა უაღრესად მეგობრულმა და ეროვნული საქმისთვის გულანთებულმა გუნდმა მოულოდნელად განიცადა, მაგრამ არაფერი გამოდის. რაც დრო გადის, უფრო მტკივნეული ხდება ის წუთები, რომელმაც სეოკ-ის დაფუძნებულად გამოცხადებიდან მის პირველ სესიამდე განვლო. ვერ გეტყვით, ვინ და რატომ უნდა ჩარეულიყო ასე უცერემონიოდ ჩვენს საქმეში. მაგრამ ფაქტია: თუ არ გვინდოდა მომავალში პრობლემებს გადავყროდით, უარი უნდა გვეთქვა სეოკ-ის ხელმძღვანელობაში მხოლოდ ერთი რომელიმე სპორტული საზოგადოების წარმომადგენლის არჩევაზე იმ მიზეზით, რომ ეს თითქოს სპორტულ ორგანიზაციებს შორის დაპირისპირებას გამოიწვევდა. ჩვენი აზრით, სეოკ-ის მომავალი, მისი როლი და ავტორიტეტი ზოგიერთებმა კარგად ვერ ჩაწვდნენ... ნჭვრიტეს და ღირსების შელახვად მიიჩნიეს თუ სეოკ-ის შემადგენლობაში მათ არ შეიყვანდნენ. პრინციპი? ან მე (ჩვენ) ან არავინ სპორტული საზოგადოებებიდან.

ადრე ვწერდით, რომ „შევარდენის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ემზარ ზენაიშვილი სეოკ-ის დამფუძნებელთა ჯგუფში აქტიურად მუშაობდა. ყველამ დავინახეთ მისი ინტელექტუალური და ორგანიზატორული შესაძლებლობები, მოვლენებში ღრმა წვდომის და გონივრული ანალიზის უნარი, საუკეთესო მეგობრული თვისებები. სეოკ-ის პირველი გენერალური მდივნის კანდიდატურას დამფუძნებელ კონფერენციამდე გამართულ სხდომებზე ვიხილავდით და ერთსულოვნად შევთანხმდით, რომ ემზარ ზენაიშვილი ყველაზე საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა. პირველი სესიის წინ თუ რა მოხდა, უკვე გითხარით.

შეიძლებოდა თუ არა, არაფრად ჩაგვეგდო მუქარა-გაფრთხილება? ცხადია, შეგვეძლო, მაგრამ თუ არ დავთმობდით, მოსალოდნელი იყო, რომ სეოკ-ი თავის ცხოვრებას შეუდგებოდა კონფრონტაციით, რაც სულაც არ იყო სასურველი ისევ და ისევ ოლიმპიური იდეალებიდან გამომდინარე. იქნებ სულაც არაფერი მოხდებოდა. დროს მივენდეთ იმ იმედით, რომ სიმართლე ბოლოს და ბოლოს იზეიმებდა. მერე, მართლაც ასე მოხდა. მოკლედ, შინაურ შფოთს ავცდით და მადლობელი ვართ, რომ მომხდარს თვით ემზარ ზენაიშვილი გაგებით მოეკიდა.

რა ხდებოდა „გარეთ", საბჭოთა სივრცეში?

ცენტრი მისთვის უსიამოვნო ფაქტის პირისპირ აღმოჩნდა — საბჭოთა კავშირის ერთ რესპუბლიკაში შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. შეიქმნა, ვამბობთ, რადგან ბალტიისპირელებმა თავიანთი ეოკ-ი მხოლოდ აღადგინეს, ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, საქართველომ პირველმა გაჭრა სარკმელი მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში დამოუკიდებლად შესაბიჯებლად.

გადის სეოკ-ის დაფუძნებიდან რამდენიმე დღე და გაზეთი „სოვეტსკი სპორტი", რომელიც იმ ხანებში ჩვენი სპორტის მესვეურებს მეგობრობას ეფიცებოდა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის, საკავშირო სპორტის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ვ. სისოევის წერილს აქვეყნებს. ამონაწერი წერილიდან: „ეოკ-ების იდეამ თავდაპირველად ბევრში ნამდვილი შიში გამოიწვია, რისი გვეშინია? ყოველ რესპუბლიკას აქვს უფლება შექმნას თავისი ოლიმპიური ორგანო, უფლება განავითაროს თავისთან ოლიმპიური მოძრაობა, გააერთიანოს ყველა საზოგადოებრივი დინების ძალისხმევა" — წერდა ვ. სისოევი. იქვე დასძენდა, რომ რესპუბლიკების ეოკ-ები მონაწილეობას მიიღებდნენ რეგიონულ შეჯიბრებებში. „ეს ხომ ჩინებულია! მაგრამ მაინც, ანგარიში უნდა გაეწიოს ცენტრის ინტერესებსაც". ძნელი ამოსაცნობი არ იყო, საით გვიბიძგებდა სახალხო დეპუტატი. ქვეტექსტი: მართალია, საქართველომ, უბრალოდ, სხვებს დაასწრო, თორემ ეოკ-ები ყველგან შეიქმნება, რაც საბჭოთა ოლიმპიურ მოძრაობას ახალ ძალას შემატებსო. ცენტრმა ჩინებულად იცოდა, რაც გვინდოდა. მაგრამ, მათი ფიქრით, ერთის სიჯიუტე ასე უფრო ადვილად გატყდებოდა, გაუბრალოვდებოდა და ერთიანი ზეწოლით ცენტრისთვის სასურველი დინება მიეცემოდა სსრ კავშირის „განახლებულ" ოლიმპიურ მოძრაობას. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ მცდელობამ ცენტრს ვერ მოუტანა სასურველი შედეგი. ჯერ ერთი — ზოგან, მოკავშირე რესპუბლიკებში, ვერც კი წარმოედგინათ სპორტული სუვერენიტეტი, „სალათას ძილი" გრძელდებოდა, მეორე — მოხდა პირიქით, — ვინც ფხიზლობდა და ათვითცნობიერებდა ბრძოლის მიზანს, ერთ ძალად შეიკრა და ცენტრს იქით შეუტია, აიძულებდა დათმობებზე წასულიყო. დრო, რაც უფრო გადიოდა, ჩვენთვის სასიკეთოდ იცვლებოდა.

სისოევი იმასაც წერდა, რომ: „რესპუბლიკური ეოკ-ების თავისი გუნდებით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ლაპარაკი, სულ რომ არაფერი, ჯერჯერობით აბსოლუტურად მიუღებელია: ეს არის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური საკითხი. დამოუკიდებელი მონაწილეობისთვის პირობები არ არის არც ერთ რესპუბლიკაში — ეს ეხება როგორც მატერიალურ ბაზას, ისე საკადრო საკითხებს, და სხვა ბევრ რამეს. და არაა საჭირო დავაქუცმაცოთ ჩვენი კავშირი რეგიონებად — ჩვენ ხომ ყოველთვის ძლიერი ერთობით ვიყავით"...

ახალშექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი დაუყოვნებლივ შეიკრიბა და სისოევის წერილთან დაკავშირებით (ცხადია, კერძო არ იქნებოდა სახალხო დეპუტატის მოსაზრებები) სეოკის აღმასკომმა თავისი პოზიცია ასე დააფიქსირა: „არა, ჩვენ არ ვიზიარებთ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ამდაგვარი მიმართულების წინადადებას. ჩვენ მტკიცედ დავისახეთ მიზნად და, ამ პოზიციას არ გადავუხვევთ, რომ მივაღწიოთ სრულ სპორტულ სუვერენიტეტს, რომ საქართველოს სპორტსმენები დამოუკიდებლად გამოვიდნენ არა რეგიონულ და ზოგიერთ საერთაშორისო ტურნირებში, არამედ კონკრეტულად ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპულ პირველობებსა და ჩემპიონატებში. ესაა პროგრამა მაქსიმუმი, რომლის შესრულება, ჩვენი საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო, არის და იქნება".

მკითხველმა თავად განსაჯოს ვის მხარეს იყო სიმართლე, ათი წლის გადასახედიდან ხომ ყველაფერი ჩინებულად მოჩანს!

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**

*(გაგრძელება იქნება)*

*დასაწყისი იხ. „ლელო" №№41-47.*

***ავტორისაგან: ყველას, ვინც მონაწილეობდა სეოკ-ის დაფუძნების მომზადებასა და მის შემდგომ საქმიანობაში, ვთხოვთ მოგვაწოდონ წინადადებები და შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რაც ვერ აისახა და აისახება პუბლიკაციებში. ყველაფერს გავითვალისწინებთ წიგნის გამოცემისას.***

# ახალი პარადოქსი - ველომრბოლთა სამჭედლო შეიძლება დახურონ...



სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ველოსკოლის არსებობას, რომლის ჯგუფები სპორტის ამ სახეობის ყველაზე ტრადიციულ რეგიონებშიცაა გახსნილი, სულ მალე შეიძლება თურმე წერტილი დაესვას. ანუ, გადავეყაროთ კიდევ ერთ განუკითხაობას, რომლის ფორმულაა... იყო და აღარ არის! ჩავთვალოთ, რომ გაზეთის მხრიდან ეს ჯერჯერობით მოსალოდნელი საშიშროების საჯარო განცხადებაა, ვინძლო, საქმე ქართული ველოსპორტის მაცოცხლებელი წყაროს დაშრეტამდე არ მივიდეს.

შევარდნელები, რომ ნამდვილად ქმნიან ამინდს ჩვენი ქვეყნის ველოსპორტის სამყაროში და, საერთოდ, სპორტულ ცხოვრებაში, ეს ერთხელ კიდევ გამოჩნდა ამ დღეებში აჭარის ველოსპორტის ფედერაციის თასზე ქობულეთში გამართულ ასპარეზობაში. ადგილობრივ მრბოლებთან ერთად აქ გამოდიოდნენ თბილისის, ქუთაისის, ლაგოდეხის, სპორტსაზოგადოებების „შევარდენის" და „მართვეს" ნაკრები გუნდები.

მკითხველი ქვემოთ დარწმუნდება, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა აბსოლუტური უმრავლესობა „შევარდენიდანაა", იმ სპორტსკოლიდან, რომლის გაუქმება და ტრადიციების ამოძირკვაა თურმე დღის წესრიგში.

**2 1 3 კვარცხლბეკი**

***სამთო პროლოგი*** (2 კმ და 200 მ). ***უფროსი ასაკი:*** 1. ლევან მესხიძე (ქობულეთი) – 4.00; 2. გია ქევხიშვილი (თბილისი, ორივე – „შევარდენი") – 4.20, 3. გიორგი მგელაძე (თბ. „მართვე") – 4.21; ***უმცროსი ასაკი:*** 1. დათო ბულბულოვი (თბილისი, „შევ.") – 4.06, 2. თენგიზ თავბერიძე – 4.24, 3. ბესო მიქელაძე – 4.28 (ორივე – ქობულეთი, „შევ."). ***დროზე ინდივიდუალური რბოლა. 10 კმ:*** 1. ქევხიშვილი – 14.39, 2. მესხიძე – 14.55, 3. მგელაძე – 15.03; ***უმცროსი ასაკი:*** 1. ბულბულოვი – 15.22, 2. მიქელაძე – 16.33, 3. თავბერიძე – 15.40. ***75 კმ*** (ქობულეთი – ბათუმი – ქობულეთი – ციხისძირი): 1. ლ. ჯღარკავა – 1:48.19. 2. ს. ხაჩიანი – 1:48.47 (ორივე – „შევ."), 3. დ. პაიჭაძე – 1:50,06 (თბ. „მართვე"); ***უმცროსი ასაკი.*** 1. ბულბულოვი – 1:53,59, 2. თავბერიძე – 1:54.00, 3. ნ. გელიტაშვილი – 1:55.00 (სამივე – „შევ."). ***სამი დღის ჯამში:*** 1. მესხიძე, 2. ქევხიშვილი, 3. ჯღარკავა. უმცროსი ასაკი: 1. ბულბულოვი, 2. თავბერიძე, 3. გელიტაშვილი.

„შევარდენის" აღზრდილი მრბოლები გ. ქევხიშვილი და ბ. მიქელაძე ივლისში, დანიაში დაიცავენ საქართველოს ღირსებას ევროპის ახალგაზრდულ თამაშებში.

**ჯ. უნგიაძე**

# აჭარის მეკლდეურთა პირველობა



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში ჩატარდა აჭარის პირველობა მეკლდეურობაში.

ჭაბუკთა შორის სამივე საპრიზო ადგილი გონიოს საშუალო სკოლის მოსწავლეებს, შესაბამისად ალექსი დუმბაძეს, როსტომ კახიძესა და ანზორ ხალვაშს ერგოთ. ხოლო გოგონებში უძლიერესნი იყვნენ ბათუმის წარმომადგენლები ნატო ქათამაძე, მანანა ცინარიძე და ნათია ვარშანიძე.

საქართველოს ჩემპიონატის წინ დაკომპლექტდა აჭარის ნაკრები. გამოვლინდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები: როსტომ კახიძე, ანზორ ხალვაში, თეა და თეონა კეჟერაძეები, ნათია ვარშანიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, შეჯიბრებაში ყველაზე უმცროსი მონაწილის 11 წლის ნათია ვარშანიძის გამოსვლა. მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და, როგორც გამონაკლისი, (ასაკის გამო), მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე, ჭიათურასთან მდებარე კაცხის სვეტის მიდამოებში.

**ოთარ მურვანიძე, სოფელი გონიო.**

*უიმბლის წლევანდელი ტურნირი დაიწყო თუ არა, უმალვე დაფიქსირდა ორი სენსაცია — ერთი სტარტზევე გახდა ცნობილი, როცა ჩოგბურთის თავმინებებული ლეგენდა ბორის ბეკერი კვლავ იხილეს ტურნირის მონაწილეთა რიგებში. მეორე სენსაცია კი პირველ ტურშივე დაფიქსირდა — მსოფლიოს №1 ჩოგანი მარტინა ჰინგისი 16 წლის დებიუტანტ ჰელენა დოკიჩთან დამარცხდა.*






# ბოსკამპს სომხების რა ვალი აქვს...

საერთაშორისო საკონტროლო შეხვედრა ფეხბურთში. თბილისი, 23 ივნისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 3500 მაყურებელი.

## „დინამო" (თბილისი) – „ერევანი" (ერევანი) 0–0



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„დინამო" (თბილისი) – „ერევანი" (ერევანი). შეხვედრის მომენტი.

**დინამო:** ზოიძე (ლომაია 85), ხიზანეიშვილი (ხიზანიშვილი 51), თ. კობიაშვილი, ვაშაკიძე, გამცემლიძე (ახალაია 80), ა. სახვაძე, აფციაური, ს. გიგიაძე, წიტაიშვილი, ქებაძე (შაშიაშვილი 83), გ. შენგელია (პარამონოვი 65).
**„ერევანი":** კუზნეცოვი, აივაზიანი, პეტიკიანი, მკრიანი, ბაბაიანი, მკრტიჩიანი (გალსტიანი 68), მარსელო, ნიგონიანი (ოგნესიანი 83), პოღოსიანი (დ. გრიგორიანი 54), დოხჟიანი, იაგმურიანი (აჯემიანი 60).
**გააფრთხილეს:** გიგიაძე (9), კობიაშვილი (53), სახვაძე (67).
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ა. შალიკაძე, ზ. დოლიძე, მ. მაისურაძე (ყველა – საქართველო).
**სფფ-ს დელეგატი** – ნ. ამირეჯიბი.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, თბილისის „დინამოს" დღეს რომ თანამემამულე მწვრთნელი ჰყოლოდა, სომეხ ფეხბურთელებთან საკონტროლო მატჩი სულ სხვა ხასიათს და ქღერადობას შეიძენდა. ჩვენები ტრადიციულ მეტოქეობას გაიხსენებდნენ და საუკეთესო შემადგენლობით შეებმებოდნენ სტუმრებს, ვინძლო გამარჯვებაც არ გაეშვათ ხელიდან. მაგრამ ბოსკამპს არანაირი ამდაგვარი მიზანი არ ამოძრავებს და ვერც მეზობლების ამბიციურობას გაუწევდა ანგარიშს. როცა შეიტყვეს, რომ „ერევანი" მაინცდამაინც პრინციპულ მეტოქეს არ წარმოადგენდა, ბოსკამპი ადგა და დინამოელთა ახალწვეულებს მისცა თავის გამოჩენის საშუალებას. ვფიქრობთ, ბოსკამპმა (ყოველ შემთხვევაში ვიდრე ის „დინამოს" და ნაკრების სათავეშია) შეგნებულად დაასამარა ჩვენი ცრუპატრიოტიზმი, როცა რაღაც მატჩებს ვიგებდით, უსაფუძვლო ილუზიას ვიქმნიდით და მერე ყველა პრინციპულ მატჩში სასტიკად ვმარცხდებოდით. სპორტული და სანახაობრივი თვალსაზრისით ეს მატჩი არ იყო შთამბეჭდავი, მაგრამ, ეტყობა, თავისი ამოცანა შესრულა. თუ რა, ეს ჰოლანდიელმა დამრიგებელმა უკეთ იცის. ისე, ამ შეხვედრაში გარკვეული უპირატესობა და საგოლე სიტუაციები მასპინძლებს უფრო ჰქონდათ. ჩვენი ბიჭები, მართალია, აქტიურობდნენ, მაგრამ ბურთი მეტოქის კარში ვერა და ვერ გაიტანეს. გამოირჩეოდა ქებაძე, სახვაძე, გამცემლიძე. სტუმრებიდან ლეგიონერებმა რუსმა კუზნეცოვმა და არგენტინელმა მარსელომ უფრო დაგვამახსოვრეს თავი. მეზობლები მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს 0-0.

# საქართველოში წყალბურთის სიკვდილზე ლაპარაკი უსაფუძვლო და გადაჭარბებულია

(პირველი გვერდიდან)

რისგან განსხვავებით, მატჩებს ახლა ანგარიშში მცირე სხვაობით იგებდნენ, მაგრამ სასურველ წარმატებას მაინც აღწევდნენ. მეტიც, ბოლო შეხვედრაში თბილისელებმა უახლოეს მდევარს მარიუპოლელებს დიდი ანგარიშით 7:2 მოუგეს, რის გამოც ორგანიზატორებს უხუმრიათ კიდეც, „კიდევ კარგი, ტური მთავრდება თორემ „ლაგუნა-ვერე" სხვა გუნდებს რაღას უზამდაო". ჩვენებმა შვიდივე მატჩი მოიგეს და ამჯერადაც 14 ქულით, ანუ წაუგებლად დაასრულეს ასპარეზობა. ახლა ისინი 28 ქულით ლიდერობენ და მეორე ადგილზე მყოფ მარიუპოლის „აზოვ-1"-ს 4 ქულით უსწრებენ. შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით, სამ ტურად. ასე რომ, თბილისელებს უკრაინის ღია პირველობაში გამარჯვების ჩინებული პერსპექტივა აქვთ. თუ, რა თქმა უნდა... არა, არც გვინდა დავიჯეროთ, რომ დასკვნით ტურზე გამგზავრებასთან დაკავშირებით ფინანსური პრობლემა იჩენს თავს. თბილისის მერია და დედაქალაქის სპორტის სამმართველო, ვფიქრობთ, ბიჭებს და ჩვენც, გულშემატკივრებს, სიხარულს არ მოგვაკლებენ. მით უფრო, რომ ჩვენს ფედერაციას (ვ. გოიაშვილი) XXI საუკუნის ახალ, ძლიერ, მონოლითურ ეროვნულ ნაკრების შექმნაზე აქვს აღებული კურსი და აქცენტი სწორედ ამ ასაკზეა გადატანილი. გვინდა გვჯეროდეს, რომ ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ, ვ. გოიაშვილის მიერ ნათქვამს, „ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის ყველაზე საუკეთესო შანსი სათამაშო სპორტის სახეობებიდან წყალბურთელთა ახალ თაობას აქვს", რეალურ საფუძვლებს არაა მოკლებული. თაობა კი მართლაც ნიჭიერი მოდის.

– უკრაინის ღია პირველობის ამ ეტაპზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეკარე ლევან ნადიბაიძემ და თამაზ მანძულაშვილმა, თუმცა ქებას გუნდის თითოეული წევრი იმსახურებს. მადლობა ყველას, ვინც მხარში გვიდგას და ბიჭებს დაოსტატებისა და წარმატებების ოცნების ხორცშესხმის შესაძლებლობას აძლევს, – თქვა „ლაგუნა-ვერეს" გუნდის უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ.

აქვე ვიტყვით, რომ ხარკოვში გუნდს ახლდა აგრეთვე მწვრთნელი ჯ. მაჭარაშვილი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. მებუკე. თბილისელებმა იმდენად შთამბეჭდავად იასპარეზეს, რომ ხარკოველთა თხოვნით გაფორმდა ხელშეკრულება ჩვენებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების ჩატარების თაობაზე ურთიერთმიწვევით. ასეთი ღონისძიება წელიწადში 2-3-ჯერ მოეწყობა. მკითხველი მიგვიხვდება, თუ რას ნიშნავს მიგიჩნევდნენ ისეთ გუნდად, რომლისგან შეიძლება ისწავლო.

ჩვენების შესაძლებლობები, ცხადია, უცხო არც რუსეთისთვისაა. ამ დღეებში მოსკოვიდან საქართველოს ფედერაციამ მიიღო შეტყობინება, რომ ქართველ წყალბურთელებს იწვევენ დსთ-ს ქვეყნების პირველობაზე. აი, ეს უკვე სულ სხვა დონეა, უკრაინის საკლუბო ტურნირისგან განსხვავებით, აქ სრულად გამოჩნდება ჩვენების შესაძლებლობები. პირდაპირ ვთქვათ: რა აზრი აქვს სხვის კარებზე ამაოდ კაკუნს. ჩვენს გუნდს აქაც მხსნელად, ალბათ, ისევ და ისევ დედაქალაქის მერია და მისი სპორტის სამმართველო მოევლინება.

შეგახსენებთ, საქმე ეხება XXI საუკუნის ეროვნულ ნაკრებს და იმედს იმისას, რომ საქართველოში წყალბურთის სიკვდილზე საუბარი უსაფუძვლო და გადაჭარბებულია...

თ. თომაშვილი

# პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

## A ჯგუფი

VIII ტურის შედეგები

მთაწმინდა – სპორტ. საქართვ. 3-3
მაესტრო – დრონი 0-1
7 დღე – დილომი 1-4
ვერა – კავკასიონი 6-2
ვაკე I – მეტროპოლიტენი 4-7
ფალავანი – თემქა 7-4
ვაკე 75 – პლატო-99 2-6
მეტეხი – მილანი-ავლაბარი 6-1
სარბიელი – ლიდერი 7-6
დიდუბე – სონიკი 18-1

## A ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტეხი | 8 | 8 | 0 | 0 | 39-8 | 24 |
| 2. მაესტრო | 8 | 7 | 0 | 1 | 37-22 | 21 |
| 3. მთაწმინდა | 8 | 6 | 1 | 1 | 46-16 | 19 |
| 4. დრონი | 8 | 6 | 1 | 1 | 27-9 | 19 |
| 5. ფალავანი | 8 | 5 | 2 | 1 | 30-15 | 17 |
| 6. ვაკე-1 | 8 | 5 | 0 | 3 | 32-18 | 15 |
| 7. დილომი | 8 | 4 | 3 | 1 | 26-15 | 15 |
| 8. სარბიელი | 8 | 5 | 0 | 3 | 33-34 | 15 |
| 9. სპორტ საქართ. | 8 | 4 | 2 | 2 | 31-19 | 14 |
| 10. ვერა | 8 | 3 | 2 | 3 | 30-18 | 11 |
| 11. მეტროპოლიტ. | 8 | 3 | 1 | 4 | 25-21 | 10 |
| 12. მილანი-ავლაბ. | 8 | 3 | 1 | 4 | 28-31 | 10 |
| 13. დიდუბე | 8 | 3 | 1 | 4 | 39-43 | 10 |
| 14. 7 დღე | 8 | 3 | 0 | 5 | 14-24 | 9 |
| 15. კავკასიონი | 8 | 3 | 0 | 5 | 17-30 | 9 |
| 16. პლატო-99 | 8 | 2 | 0 | 6 | 25-57 | 6 |
| 17. თემქა | 8 | 1 | 0 | 7 | 28-36 | 3 |
| 18. ლიდერი | 8 | 1 | 0 | 7 | 17-38 | 3 |
| 19. ვაკე-75 | 8 | 1 | 0 | 7 | 14-37 | 3 |
| 20. სონიკი | 8 | 0 | 0 | 8 | 16-63 | 0 |

**ბომბარდირები:**
1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა) 29
2. ჯამბულ ხასაია (დიდუბე) 21
3. ლექსო მარგიანი (მეტეხი) 20
4. რამაზ დვალიშვილი (მილანი-ავლაბარი) 17
5. გია კვანტალიანი (თემქა) 14
6. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავანი) 13
7. გია ალთუნაშვილი (დრონი) 11
8. კახა თალაკვაძე (სარბიელი) 11

IX ტური

**26 ივნისი, შაბათი**
14.00 ვაკე-75 – მილანი-ავლაბარი
15.00 მეტეხი – დრონი
16.00 მაესტრო – სონიკი
17.00 დილომი – სპორტ.საქართველო
**27 ივნისი, კვირა**
11.00 მთაწმინდა – სარბიელი
12.00 თემქა – დილომი
13.00 7 დღე – კავკასიონი
14.00 ვერა – მეტროპოლიტენი
15.00 ვაკე-1 – ლიდერი
**28 ივნისი, ორშაბათი**
12.00 ფალავანი – პლატო-99

## B ჯგუფი

III ტურის შედეგები

მაქსი – ავლაბარი 1-11
თბილისი – ლოკომოტივი 1-6
ირაო – ორბი 1-2
ნაძალადევი – სახალხო ვერა 1-6
სპორტ. საქართველო-2 – ვეძა 2-5

## B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სახალხო ვერა | 3 | 3 | 0 | 0 | 24-7 | 9 |
| 2. ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 14-5 | 7 |
| 3. ავლაბარი | 3 | 2 | 0 | 1 | 16-7 | 6 |
| 4. ორბი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-4 | 6 |
| 5. ვეძა | 3 | 2 | 0 | 1 | 14-8 | 6 |
| 6. ირაო | 3 | 1 | 1 | 1 | 8-6 | 4 |
| 7. თბილისი | 3 | 1 | 0 | 2 | 13-11 | 3 |
| 8. 8 ½ | 2 | 1 | 0 | 1 | 10-13 | 3 |
| 9. ნაძალადევი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-12 | 3 |
| 10. მაქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 9-18 | 3 |
| 11. ზაჰესი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-18 | 0 |
| 12. სპორ.საქართ.-2 | 3 | 0 | 0 | 3 | 6-23 | 0 |

**ბომბარდირები:**
1. ბადრი სარიშვილი (ავლაბარი) – 10
2. გიორგი თოთლაძე (სახალხო ვერა) – 8
3. კოტე გიგინეიშვილი (თბილისი) – 6
4. გიორგი სოფოევი (სახალხო ვერა) – 5
5. ხვიჩა ჩხიკვაძე (ლოკომოტივი) – 5
6. დათო გვარამია (ვეძა) – 5
7. გიორგი შუხოშვილი (სახალხო ვერა) – 4
8. გოჩა ფეიქრიშვილი (ლოკომოტივი) – 4
9. გია კვირიკაშვილი (თბილისი) – 4

IV ტური

**25 ივნისი, პარასკევი**
11.00 მაქსი – ლოკომოტივი
12.00 თბილისი – ორბი
13.00 ირაო – სახალხო ვერა
**26 ივნისი, შაბათი**
18.00 ნაძალადევი – 8 ½
**27 ივნისი, კვირა**
10.00 ავლაბარი – სპორტ. საქართველო-2
16.00 ზაჰესი – ვეძა



# ქალთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ფინალური ეტაპი. აშშ-99

ნიგერია – ჩრ. კორეა 2-1
იტალია – გერმანია 1-1
განა – ავსტრალია 1-1.

# როცა რაინდის წოდება მიიღო...

ამ დღეებში ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს, 57 წლის ალექს ფერგიუსონს რაინდის წოდება მიანიჭა (მას ამიერიდან მოთამაშეებმა ასე უნდა მიმართონ: „სერ ალექს"), თვით შოტლანდიელმა სპეციალისტმა მეტად ღირსეული განცხადება გააკეთა: „იმ უდიდეს პატივში, რომელიც მე მომენიჭა, ვხედავ არა მხოლოდ ჩემი დამსახურების აღიარებას, არამედ იმათ დამსახურებასაც, რომლებიც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ხელს მიწყობდნენ, განსაკუთრებით ჩემი მშობლებისა. როგორ იამაყებდნენ, ისინი რომ ახლა ცოცხლები ყოფილიყვნენ. მინდა მადლობა გადავუხადო მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებიც მხარში მედგნენ როგორც შოტლანდიაში, ისე ინგლისშიც. ისინი რომ არა, ასეთ შესანიშნავ წარმატებებს ვერასოდეს მივაღწევდი. არ შეიძლება არც „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეების დავიწყება – პირველ რიგში სწორედ მათ მოიპოვეს უნიკალური წარმატება სამ დიდ ტურნირში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## რამდენი კლუბი უნდა გამოიცვალოს?

დანიელ ბრაიან ლაუდრუპის გადაწყვეტილება – თამაში დაიწყოს ამსტერდამის „აიაქსში", ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა. იგი ხომ სამშობლოში აპირებდა ხანგრძლივი კარიერის დამთავრებას.

„კოპენჰაგენში" ამ განთქმულმა თავდამსხმელმა სულ ნახევარი წელი დაჰყო. თუ რატომ გადაწყვიტა მისი დატოვება, ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც კი გამოაცხადა ამის შესახებ, მაშინვე მიწვევა მიიღო 15 (!) ევროპული კლუბისგან. „როცა ყველაფერი ავწონ-დავწონე, გადავწყვიტე ამსტერდამის „აიაქსში" ვითამაშო, სადაც ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში". აქ ხომ სულ ცოტა ხნის წინათ თამაშობდა მისი უფროსი ძმა მიქაელ ლაუდრუპი.

„აიაქსის" ახლანდელი მწვრთნელი იან ვაუტერსი და ბრაიან ლაუდრუპი ერთად გამოდიოდნენ მიუნხენის „ბაიერნში". ამასთან, დანიელ ფეხბურთელს, ცოტა არ იყოს, ჭირვეული ხასიათი აქვს. იგი თავს უხერხულად გრძნობდა ისეთ კლუბებში, როგორიცაა „ბაიერნი", „ფიორენტინა", „მილანი", „გლაზგო რეინჯერსი" და „ჩელსი". ახლა ისე გამოდის, რომ ლაუდრუპი თითქოს თავიდან იწყებს კარიერას დიდ ფეხბურთში.

## „პარმა" ძლიერდება

ხომ მშვენიერი კოლექტივი ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ. ამიერიდან „პარმა" კიდევ უფრო გაძლიერდება.

მისი მთავარი შენაძენია „უდინეზესა" და ბრაზილიის ნაკრების დიდად შედეგიანი თავდამსხმელი მარსიო ამოროზო; მას გარდა, „პარმაში" უკვე გადავიდნენ ცნობილი მცველი მიქელე სერენა, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოში" თამაშობდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება არჩია, და ორი ფეხბურთელი „სალერნიტანადან". შედეგიანი თავდამსხმელი მარკო დი ვაიო და საჯარიმო დარტყმის ჩინებული შემსრულებელი, ნახევარმცველი რობერტო ბრედა.

ახლა „პარმას" მოლაპარაკება აქვს ერთბაშად სამ სამხრეთამერიკელთან, ესენია ბრაზილიელი თავდამსხმელი ალეში, რომელიც სან-პაულუს „პალმეირასში" გამოდიოდა, ორი არგენტინელი – თავდამსხმელი აიმორი („რივერ პლეიტიდან") და ფართოდ ცნობილი ნახევარმცველი, „ჩოჩორად" წოდებული არიელ ორტეგა გენუის „სამპდორიიდან".

## არგენტინელების უფერული ტურნე

„ძალზე უფერულს" უწოდებს არგენტინული პრესა ნაკრების ტურნეს „Copa America"-ს წინ. ჯერ იყო და არგენტინელებმა ძლივს მიაღწიეს ფრეს მექსიკელებთან, რომლებსაც დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. შემდეგ წააგეს (0-1) აშშ ნაკრებთან. მართალია, არგენტინელები თავს იმით იმართლებენ, რომ არც ერნან კრესპო ჰყავდათ და არც გაბრიელ ბატისტუტა, ისინი მოგვიანებით შეუერთდებიან გუნდს.



კლაუდიო კანიჯა

## კანიჯა თამაშს იწყებს

განთქმულ თავდამსხმელ კლაუდიო კანიჯას წელიწადზე მეტია არსად უთამაშია. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი მოლაპარაკება ჰქონდა, მაგრამ შედეგი არა ჩანდა. ახლა არგენტინელმა, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მექსიკის ლიგაში გამოსვლა. იქ „ნეკაქსაში" ითამაშებს.

# ტრაპატონი «მსოფლიო ვარსკვლავებს» მოითხოვს

როგორც „ფიორენტინას" მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, მომავალ სეზონში მისი გუნდი ჩემპიონობისათვის იბრძოლებს, თუმცა საამისოდ 3-4 მსოფლიო კლასის ოსტატის შეძენა დასჭირდა და შეადგინა კიდეც გეგმები: უპირველეს ყოვლისა, მას სჭირდება ენრიკო კიეზა „პარმადან", „მას შეუძლია არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტასთან ერთად შეადგინოს სუპერმოიერიშე წყვილი. ამ დუეტის პოტენციალი ისეთი დიდია, რომ მას მხოლოდ „ინტერში" ჩამოყალიბებული „ტკბილი წყვილი" თუ შეიძლება შეედაროს ვიერისა და რონალდოს შემადგენლობით" – ამბობს ტრაპატონი.

კიეზას გარდა იგი აპირებს იუგოსლავ თავდამსხმელ პრედრაგ მიატოვიჩის (მადრიდის „რეალი") „ინტერისა" და იტალიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელ ნიკოლა ვენტოლას, ხორვატ ნახევარმცველ მილან რაპაიჩის („პერუჯა") და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელების დავიდ ტრეზეგესა („მონაკო") და სილვენ ვილტორის („ბორდო") შეძენას.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მარადონა იმედოვნებს

როგორც მარადონამ განაცხადა, აუცილებლად აპირებს დიდ ფეხბურთში დაბრუნებას. მას გაისად „კოპა ლიბერტადორესის" გათამაშებაში თავისი საყვარელი კლუბის „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში სურს მონაწილეობა და ამ საკითხზე მოლაპარაკება აქვს მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან.

## რელიგიური მოსაზრებით

არგენტინის ნაკრების მეკარე კარლოს როა წარმატებით თამაშობდა „მალიორკას" შემადგენლობაში როგორც ესპანეთის პირველობაზე, სადაც კლუბმა ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა, ისე ევროპულ ტურნირებშიც.

ახლა „მალიორკამ" ახალი მეკარე უნდა ეძებოს, რადგან როა, როგორც თვით განაცხადა, რელიგიური მოსაზრებით საბოლოოდ ეთხოვება ფეხბურთს.

## დოპინგი? თუ შეიძლება, კონკრეტულად აგვიხსენით!

პრესაში ბევრს წერენ დოპინგის შესახებ, მაგრამ ხომ შეიძლება მასზე კონკრეტულადაც ითქვას!

ფიფას ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, დოპინგის ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება:

1. სტიმულატორები
2. ნარკოტიკული ანალგეტიკები
3. ანაბოლიკური სტეროიდები
4. დიურეტიკები
5. პეპტიდები და გლიკოპროტეინული ჰორმონები
6. სხვადასხვა ნარკოტიკი (მარიხუანა და ჰაშიში).

აი, ფიფას მიერ აკრძალული ანაბოლიკების სრული სია. წესების თანახმად არ შეიძლება არც ამ პრეპარატების, არც იმ ნივთიერებების გამოყენება, რომლების შემადგენლობაშიც ისინი შედის.

ბოლასტერონი, ბოლდენონი, კლოსტებოლი, დეგიდროხლორმეტილტესტოსტერონი, დეგიდროეპნანდოსტერონი, ფლუოკსიმესტერონი, მესტეროლონი, მესტენდიენონი, მეტენოლონი, მეტილტესტესტერონი, ნადროლონი, ნორანდროსტერონი, ნორეტანდროლონი, ოქსანდროლონი, ოქსიმენსტერონი, ოქსიმეტოლონი, სტენოზოლოლი, ტესტოსტერონი.

## დეშამი – „ჩელსიში"

საფრანგეთის ნაკრების კაპიტან დიდიე დეშამს, ადრე ტურინის „იუვენტუსის" მწვრთნელ მარჩელო ლიპის ერთ-ერთ ფავორიტს, ძალზე ცუდი ურთიერთობა ჰქონდა კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელ კარლო ანჩელოტისთან. დამნაშავე იყო თუ არა, „ბებერი ქალბატონის" ბევრი მარცხი სწორედ კაპიტანს ბრალდებოდა. ამის გამო დეშამმა ტურინი დატოვა. ახლა იგი 5 მილიონ დოლარად ლონდონის „ჩელსიმ" შეიძინა, რომლის მენეჯერ ჯანლუკა ვიალისთან ერთად დეშამი „იუვენტუსში" გამოდიოდა.

## ხარინი – „სელტიკში"

ცნობილი რუსი მეკარე დმიტრი ხარინი ლონდონის „ჩელსიში" კი ირიცხებოდა, მაგრამ მეტად იშვიათად თამაშობდა. ამიტომ იგი გლაზგოს „სელტიკში" გადავიდა. „სელტიკმა" ამ სეზონში დიდი მარცხი იგემა და ახლა შეძლებისდაგვარად ცდილობს შემადგენლობის გაძლიერებას.

## სიმონე – „მონაკოში"

ცნობილმა იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო სიმონემ, ორი წელი ითამაშა „პარი სენ-ჟერმენში" და ახლა სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი „მონაკოსთან".

30 წლის სიმონემ საფეხბურთო კარიერის ძირითადი ნაწილი „მილანში" გაატარა. იქ იგი ოთხჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, ორჯერ — საკონტინენტთაშორისო თასზე, ორჯერ — იტალიის სუპერთასზე, მოიგო საფრანგეთის [illegible]

უეფას თასის წინ „მონაკომ" აძლიერებს შემადგენლობას. სიმონეს გარდა, აქ ჩაირიცხა ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი მარსელო გალიარდო. მეკარე ფაბიენ ბარტეზსს ბევრი მიწვევა ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა „მონაკოში" დარჩენა და ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## გრანდიოზული მუშტი-კრივი

გრანდიოზული მუშტი-კრივით დასრულდა ტუნისის თასის ერთ-ერთი მატჩი... 4 გულშემატკივარი დაიღუპა, ხოლო ათმა სერიოზული ტრავმა მიიღო. ასეთი შეხლა-შემოხლა აქამდე ტუნისის ფეხბურთისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა.

## გასაოცარი რამ: ქალი სათავეში ჩაუდგა... ვაჟთა გუნდს

გასაოცარი რამ მოხდა იტალიაში: 35 წლის კაროლინა მორაჩე სათავეში ჩაუდგა ვაჟ ფეხბურთელთა ცნობილ (მართალია, სამოყვარულო) კლუბ „ვის აურელიას".

მორაჩე იტალიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. იგი იტალიის ქალთა ნაკრების წევრი იყო, შემდეგ კი ერთ-ერთი ტელეარხის საფეხბურთო კომენტატორიც.

— მართალია, პირველი ქალი ვარ, ვინც ვაჟთა გუნდს სათავეში ჩაუდგა, ისე კი, მაინცდამაინც უცნაური არაფერი მომხდარა: გუნდის მწვრთნელად იმიტომ მიმიწვიეს, რომ ფეხბურთს დიდი ენერგია შევალიე — შეუპოვრად ვმუშაობდი დიდხანს.

## ირლანდიელები გაამტყუნეს

უეფამ 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია, რომლის მიზეზით ჩაიშალა მატჩი ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში იუგოსლავიის ნაკრებთან.

ირლანდიელებმა იუგოსლავიელებს დუბლინში ჩასასვლელი ვიზა არ მისცეს. ახლა დაადგინეს, რომ მატჩი ნეიტრალურ მინდორზე კი არა, სწორედ ირლანდიის დედაქალაქში შედგება. ამასთან, იუგოსლავიის ნაკრების მგზავრობის ხარჯებს სწორედ ირლანდიური მხარე გაიღებს.

## „ლაციომ" ბევრი მოინდომა

უმდიდრესი „ლაციო" სულაც არ არის კმაყოფილი წლევანდელი შედეგებით და მომავალ სეზონში აუცილებლად „სკუდეტოს" მოპოვება სურს.

ჯერჯერობით მან შეიძინა არგენტინელი ნახევარმცველები ხუან ვერონი („პარმადან") და დიეგო სიმეონე („ინტერიდან"). აგრეთვე სიმონე ინძაგი („პიაჩენცადან"). ამ ნიჭიერმა თავდამსხმელმა, ფილიპო ინძაგის უმცროსმა ძმამ ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში პირველად მიიპყრო ყურადღება და თავის ძმაზე მეტი გოლი გაიტანა.

ახლა „ლაციოს" მესვეურებს ლონდონის „არსენალის" ცნობილი ფრანგი თავდამსხმელის ნიკოლა ანელკას შეძენა სურთ, მაგრამ დიდი იმედები არა აქვთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება კიდევ ორ, ფართოდ ცნობილ თავდამსხმელებთან, როგორნიც არიან კლაუდიო ლოპესი („ვალენსია") და შვედი კენეტ ანდერსონი („ბოლონია"). მათ გარდა, „ლაციო" დაინტერესდა „მალიორკას" ნახევარმცველ ლორენით, რომლის გადაბირება იტალიის დედაქალაქის კიდევ ერთ კლუბ „რომასაც" სურს.

## ეტყობა „რეალს" დარჩება

იმის მიუხედავად, რომ ბევრ კლუბს სურს ნიკოლა ანელკას გადაბირება, ლონდონის „არსენალი" არავისთან აპირებს მოლაპარაკებას. ეს იმიტომ, რომ თვით ფრანგ ფეხბურთელს მაინცდამაინც მადრიდის „რეალში" სურს თამაში.

ამას წინათ პარიზის „ეკიპის" კორესპონდენტს ესაუბრა ფეხბურთელის ძმა დიდიე: „აზრი არა აქვს „ლაციოსთან" რაიმე მოლაპარაკებას, რახან თვით ნიკოლას ამ იტალიურ კლუბში თამაში არ სურს, ისევე როგორც აპენინის ნახევარკუნძულის ნებისმიერ სხვა კოლექტივში. ყველამ იცის, რომ მან მთელი თავისი სიმპათია მხოლოდდამხოლოდ მადრიდის „რეალს" დაუთმო.

რაც შეეხება ლონდონის „არსენალს", მან „რეალს" უეფაში უჩივლა: ესპანური კლუბი უკანონო გზებით ცდილობსო ანელკას დაუფლებას.

## შალიმოვი დოპინგს იყენებს?

იტალიური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „ნაპოლიში" მოთამაშე 30 წლის რუსი ნახევარმცველი იგორ შალიმოვი ეჭვმიტანილია დოპინგის გამოყენებაში. ამაზე დანამდვილებით ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა, რადგან წესების თანახმად საჭიროა მეორე საკონტროლო დოპინგ-ტესტის შედეგებამდე მოცდა.

რაც შეეხება პირველ ტესტს, რომელიც ერთი თვით ადრე აუღეს იტალიის მეორე დივიზიონის მატჩის შემდეგ „ნაპოლისა" და „ლეჩეს" შორის, შალიმოვს ანაბოლიკების კვალი აღმოუჩინა.

თუკი დოპინგის გამოყენება დამტკიცდა, მაშინ შალიმოვის კარიერა ამ ქვეყანაში დამთავრდება. იგი უკვე 7 სეზონია იტალიაში თამაშობს.



## ტრანსფერები რეალური და სავარაუდო

### რეალური

- *ესპანეთის* ცენტრალური მცველი მარსელიანო ელენა ინგლისის „ნიუკასლმა" შეიძინა
- *კარლ ჰაინც პლიფსენი* — „ბორუსიიდან" — „პანათინაიკოსში"
- *ფრანკ ვერლაატი* — „შტუტგარტიდან" „აიაქსში"
- *რაფაელ ჩუკვუ* — „მამელოდიდან", „ბარში".
- *ხუან ვერონი* — „პარმიდან" „ლაციოში"
- *ნიკოლა ვენტოლა* — „ინტერიდან" „ბოლონიაში"
- *ჯანლუკა პალიუკა* — „ინტერიდან" „ბოლონიაში"
- *პეტერ შმაიხელი* — „მანჩესტერიდან" — „სპორტინგში"
- *იუსუფ ჩიპო* — „პორტოდან" „ქოვენთრიში"
- *სონი ანდერსონი* — „ბარსელონიდან" „ლიონში"
- *მარკ ბოსნიჩი* — „ასტონ ვილადან" „მანჩესტერში"
- *მარკო სიმონე* — პსჟ-დან „მონაკოში"
- *ანჯელო დი ლივიო* — „იუვენტუსიდან" „ფიორენტინაში"

### სავარაუდო

- *მურთაზ შელია* — სურთ „ტრანზონსპორს" და ინგლისის კლუბებს
- *ხუან ანტონიოს პიცი* — „ლივერპლეიტიდან" „პორტოში"
- *მარტინ პალერმო* — „ბოკა ხუნიორსიდან" „სელტიკში"
- *რობერტო სენსონი* — „პარმადან" „ლაციოში"
- *ნიკი ბატი* — „მანჩესტერიდან" „სელტიკში"
- *არიელ ორტეგა* — „სამპდორიადან" „პარმაში"
- *ვიქტორ იკპება* — „მონაკოდან" „დორტმუნდში"
- *როხერ გარსია* — „ბარსელონადან" „მონაკოში"
- *თომას ჰელმერი* — „ბაიერნიდან" „სელტიკში".
- *ჰიდეტოში ნაკატა* — „პერუჯადან" „მონაკოში"
- *გუსტავო ბარტლეტი* — „რომადან" ესპანიოლში
- *რობერტო იარნი* — „რეალიდან" ფიორენტინაში"
- *ივან დე ლა პენია* — „ლაციოდან" „პარმაში"
- *სალვატორე ფრეზი* — „ინტერიდან" „პერუჯაში"
- *დიტმარ ჰამანი* — „ნიუკასლიდან" „არსენალში".

ტრანსფერები გრძელდება

## ბრაზილიიდან...

- ის, რომ რომარიოს, წინასწარივარაუდის მიუხედავად, კვლავ დაატოვებინეს ბრაზილიის ნაკრები, მიმომხილველთა ცხოველ ინტერესს იწვევს. გამეორდა შარშანდელი ისტორია, როცა რომარიო ბოლო მომენტში ვერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადებულ ნაკრებში. ახლაც თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა ნაკრების ექიმებმა თქვეს: რომარიოს აღმოუჩინეს არც ისე არსებითი ტრავმა მარცხენა ფეხზე, რომელმაც მას საშუალება არ მისცა ეთამაშა „ფლამენგოსა" და „ვასკო და გამას" პირველ ფინალურ მატჩში რიო-დე-ჟანეიროს შტატის პირველობაზე. თუმცა მეორე მატჩისათვის მას სრული გამოჯანმრთელება აღუთქვეს. შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, როცა გაიგო, რომ ნაკრებში არ შეიყვანეს, რომარიო ლამის ატირდა, თვალზე ცრემლი მოადგა. ახლა კი ამ ცნობას უფრო მშვიდად შეხვდა. თუმცა ადრე არაერთგზის განაცხადა, რომ „Copa America"-ში მონაწილეობა უნდა, ახლა თქვა: „ეს შეჯიბრება ნაკლებად მაინტერესებს". რომარიო ამბობს, რომ მისთვის ნაკრებში მოხვედრა მნიშვნელოვანი იქნება გაისად, როცა სიდნეიში ოლიმპიური თამაშები ტარდება. „აი სწორედ ის შეჯიბრებაა ჩემი მთავარი მიზანი".
- ბრაზილიური პრესა მხარს არ უჭერს რომარიოს ნაკრებიდან გამოყვანას, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატის მთავარი სნაიპერი გახდა. არც იმას, რომ მწვრთნელმა დაიწუნა ედმუნდო, რომლის დაბრუნება „ვასკო და გამას" ძალიან შეეტყო. იყო კიდევ ერთი ვარიანტი: ნაკრებში „პორტუს", განთქმულ თავდამსხმელ მარიო ჟარდელის მიწვევა, რომელიც ყველაზე შედეგიანი ფორვარდია (36 გოლი!) ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში. რატომ დაიწუნეს ჟარდელი?
- ლუქსემბურგოს თავდასხმაში რონალდო — ამოროზოს წყვილის იმედი აქვს. რონალდოსათვის ეს სეზონი ყველაზე უარესი იყო მთელს საფეხბურთო კარიერაში, ამოროზოსათვის — ყველაზე უკეთესი. ვნახოთ, რას გვიჩვენებს ეს წყვილი.
- „კორინთიანსი" მეორე ბრაზილიური კლუბი იქნება, რომელიც ბრაზილიას წარმოადგენს მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში კლუბებს შორის.
- „ვასკო და გამას" ვარჯიშზე კარგად გამომთვრალი გულშემატკივარი შეეცადა ჩხუბი აეტეხა თავდამსხმელ დონიზეტესათვის. დარაჯებმა შეძლეს ხულიგანის ბაზის ტერიტორიიდან გაყვანა.

## ესპანეთიდან...

- გასაყიდად გაიმეტა „მალიორკამ" ცნობილი თავდასხმელი დანი, რომელიც ადრე „ბარსელონაში", „სარაგოსასა" და მადრიდის „რეალში" თამაშობდა, რასაც ფინანსური მოტივებით ხსნიან: „მალიორკას" იმდენი თანხა არა აქვს, რომ დანისთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. ახლა დანის მიმართ ინტერესს „ბარსელონა" იჩენს. დაინტერესდა აგრეთვე იტალიური „პერუჯაც", რომელსაც ძალიან სჭირდება მწვავე, შედეგიანი თავდამსხმელი.
- მადრიდის „რეალი" შორეულ საკადრო პოლიტიკასაც ატარებს: სურს 2000 წლიდან თავის რიგებში ალბერტო სელადესი იხილოს.
- „ბარსელონა" მცველ სამუელ ოკუნოვოს გაყიდვას აპირებს, რომელიც გადავა ან ლონდონის „ტოტენჰემში", ანდა, ლისაბონის „ბენფიკაში".
- ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნება არ დართო არგენტინელ მწვრთნელ ამერიკო რუბენ გალიეგოს სათავეში ჩასდგომოდა სევილიის „ბეტისს". ამის მიზეზია ესპანეთში მუშაობის ლიცენზიის უქონლობა.
- როგორც პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, თუკი იგი მადრიდის „რეალიდან" წავა, არც ერთ სხვა ესპანურ კლუბში აღარ სურს თამაში.

## იტალიიდან...

- მილანის „ინტერი" დაინტერესებულია კონტრაქტი გააფორმოს „პარმასა" და არგენტინის ნაკრების კაპიტან რობერტო ნესტორ სენსინისთან.
- „ნაისონალ ტაჩირას" მეკარე რენი ვეგა პირველი ვენესუელელია, რომელიც იტალიის „სერია A"-ში თამაშს დაიწყებს. იგი „უდინეზეში" ჩაირიცხა.
- „კალიარის" ამიერიდან იტალიაში კარგად ცნობილი ურუგვაელი სპეციალისტი ოსკარ ტაბარესი ჩაუდგება სათავეში. იგი ამ კლუბში ადრე უკვე მუშაობდა: 1994 წელს სარდინიელებს უეფას თასზე თამაშის უფლება მოუპოვა.
- ფაბიო კაპელომ, დანიშნეს თუ არა „რომას" მწვრთნელად, გუნდის სერიოზულად გაძლიერება გადაწყვიტა. მოსკოვის „ლოკომოტივიდან" მიიწვია ბელარუსის ნაკრების მწვრთნელი სერგეი გურენკო, ახლა კი მადრიდის „რეალიდან" ცნობილ ჰოლანდიელ ნახევარმცველ კლარენს ზეედორფის გადაბირება სურს. მართალია, ზეედორფი აცხადებს, რომ კიდევ ერთ წელიწადს მაინც სურს „რეალში" თამაში.
- „ინტერსა და „ბარსელონას" შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანეთის ნაკრების მცველ სერხის ტრანსფერის შესახებ. მილანელები ესპანელი მცველით მაშინ დაინტერესდნენ, როცა არაფერი გამოვიდა „რომასთან" მოლაპარაკებით, რომელიც საფრანგეთის ნაკრების მცველ ვენსან კანდელაში მეტისმეტად დიდ თანხას, 15 მილიონ დოლარს მოითხოვდა.
- „ტორინო", ადრე ძლიერი და სახელოვანი კლუბი, მთელი ოთხწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა იტალიის „სერია A"-ს. ცხადია, კლუბს გაძლიერება სჭირდება. მან უკვე შეიძინა იუგოსლავი თავდამსხმელი ილია ივიჩი (პირეოსის „ოლიმპიაკოსიდან") და ნახევარმცველი ერიკ ედმანი (შვედეთის „ჰელსინგბორგიდან"). ახლა იგი კიდევ უფრო ცნობილი ფეხბურთელების ყიდვას აპირებს. ესენია ოლე-ჰუნარ სოლსკიაერი („მანჩესტერ იუნაიტედი"), რომელსაც კარგად იცნობენ თბილისელი გულშემატკივრები, ფრანგი მცველი კაბა დიავარა („მონაკო") და ისრაელის ნაკრების ნახევარმცველი ტალ ბანინი („ბრეშია").
- რობერტო ბაჯოს განცხადებით, მან შეიძლება დატოვოს „ინტერი" (სადაც დიდი ცვლილებები ხდება) და „პარმაში" გადავიდეს.
- „მილანმა" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ჯენარო ივან გატუზოსთან. ეს 21 წლის ნახევარმცველი აქამდე „სალერნიტანაში" თამაშობდა, სადაც იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული ფეხბურთელის სახელი მოიპოვა.

# ევროპის ყველა ჩემპიონატი

## ესპანეთი 1964

## „ევრო“ თასის მეორე გათამაშება

***ევროპის თასის მეორე გათამაშებაში 29 ქვეყნის ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობდა 26 ნაკრები, სსრკ-ს ნაკრები როგორც თასის მფლობელი თავისუფალი იყო წინასწარი შეხვედრებისგან და ასპარეზობაში მერვედფინალიდან ჩაება. მასთან ერთად კენჭისყრის შედეგად მერვედფინალში გავიდნენ ავსტრიისა და ლუქსემბურგის ნაკრებები.***

პირველი შეხვედრა ჩატარდა 1962 წლის 21 ივნისს შვედეთისა და ნორვეგიის ნაკრებებს შორის, ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს შვედებმა. მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს შემდეგმა ნაკრებებმა: ***სსრკ-მ; იუგოსლავიამ*** (დაამარცხა ბელგია 3-2 და 1-0); ***ესპანეთმა*** (რუმინეთი 6-0 და 1-3); ***იტალიამ*** (თურქეთი 6-0 და 1-0); ***უნგრეთმა*** (უელსი 3-1 და 1-1); ***ჰოლანდიამ*** (შვეიცარია 3-1 და 1-1); ***ბულგარეთმა*** (პორტუგალია 3-1, 1-3 და 1-0); ***გდრ-მ*** (ჩეხოსლოვაკია 2-1 და 1-1); ***დანიამ*** (მალტა 6-1 და 3-1); ***ალბანეთმა*** (საბერძნეთმა უარი განაცხადა); ***ჩრდ. ირლანდიამ*** (პოლონეთი 2-0 და 2-0); ***ავსტრიამ*** (კენჭისყრით); ***შვედეთმა*** (ნორვეგია 2-0 და 1-1); ***ირლანდიამ*** (ესპანეთი 4-2 და 1-1); ***ლუქსემბურგმა*** (კენჭისყრით) და ***საფრანგეთმა*** (ინგლისი 1-1 და 5-2). აღსანიშნავი იყო სსრკ-სა და იტალიის ნაკრებების შეხვედრა. პირველი მატჩი გაიმართა მოსკოვში და დაესწრო 102 000 მაყურებელი, იგი სსრკ-ს ნაკრების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 2-0. ბურთები გაიტანეს პონედელნიკმა და ჩისლენკომ. განმეორებით მატჩში აღინიშნა ფრე 1-1. ანგარიში გახსნა გუსაროვმა, ხოლო შეხვედრის 89-ე წუთზე იგი გაათანაბრა რივერამ. მატჩის 58-ე წუთზე მაცოლას 11-მეტრიანი დარტყმა მოიგერია იაშინმა.

მერვედფინალში ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო ორივე შეხვედრის მოგება. ორი შეხვედრის ჯამში მეოთხედფინალში გავიდნენ: ***დანია*** (სძლია ალბანეთს 4-0 და 0-1); ***ესპანეთი*** (ჩრ. ირლანდია 1-1 და 1-0); ***ირლანდია*** (ავსტრია 0-0 და 3-2); ***ლუქსემბურგი*** (ჰოლანდია 1-1 და 2-1): ***უნგრეთი*** (გდრ 2-1 და 3-3); ***საფრანგეთი*** (ბულგარეთი 3-1 და 0-1), ***შვედეთი*** (იუგოსლავია 0-0 და 3-2).

მეოთხედფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ***სსრკ-შვედეთი,*** პირველი შეხვედრა ჩატარდა სტოკჰოლმში „რასუნდას“ სტადიონზე 40 000 მაყურებლის თანდასწრებით. იგი წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ 1-1. ანგარიში შეხვედრის 62-ე წუთზე გახსნა ივანოვმა, ხოლო 87-ე წუთზე კ. ჰამრიმ გაქვითა.

განმეორებითი შეხვედრა ჩატარდა მოსკოვში და მიმდინარეობდა სსრკ-ს ნაკრების უპირატესობით. ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა პონედელნიკმა, მანვე მეორე ნახევრის დასაწყისში გაზარდა იგი. ამის შემდეგ ჰამრიმ შეამცირა ანგარიშის სხვაობა 2-1. ხოლო ორთაბრძოლას საბოლოო წერტილი ვორონინმა დაუსვა 3-1. გაიმარჯვეს სსრკ-ს ფეხბურთელებმა და გავიდნენ ნახევარფინალში.



*ევროპის 1964 წლის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები: დგანან (მარცხნიდან): ირიბარი, ოლიველია, ზოკო, ფუსტე, კალიეხა, რივილია; სხედან — ამანსიო, პერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა.*
*ფოტო „ლელოს“ არქივიდან*

**უნგრეთი — საფრანგეთი**

პირველი შეხვედრა პარიზში დამთავრდა 3-1 უნგრელთა გამარჯვებით. გამოირჩეოდა ალბერტისა და ტიხის დუეტი, რომელიც უძლიერესი იყო იმ დროს. შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, გამბედაობა და იმავდროულად სიფრთხილე (უნგრელები ძირითადად კონტრშეტევებზე თამაშობდნენ), აი, ის თვისებები, რომელიც ანსხვავებდა უნგრეთის ნაკრებს სხვა გუნდებისაგან.

შეხვედრის მე-14 წუთზე გოლი გაიტანა ალბერტიმ, ორი წუთის შემდეგ ტიხიმ გაზარდა ანგარიში, მანვე 69-ე წუთზე გაიტანა მესამე ბურთი. ის, რაც შეძლეს ფრანგებმა, იყო „პრესტიჟის“ გოლი კოსიუს შესრულებით.

განმეორებითი შეხვედრა, რომელსაც 80 000 მაყურებელი დაესწრო, კვლავ უნგრელთა გამარჯვებით დამთავრდა 2-1. ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა ფრანგმა კომბენამ. უნგრელებმა შეხვედრის 25-ე წუთზე საჯარიმოთი გაათანაბრეს ანგარიში (შიპოში), ხოლო გამარჯვების გოლი გავიდა ნადიტიხი-ბენეს კომბინაციის შემდეგ და ახალგაზრდა ბენემ გაიტანა გამარჯვების გოლი.

**დანია — ლუქსემბურგი.** 3-3, 2-2 და 1-0.

ამ წყვილში გამარჯვების გამოსავლენად საჭირო გახდა მესამე დამატებითი შეხვედრა. სამივე მატჩის გმირი იყო დანიის ნაკრების კაპიტანი ოლე მადსენი, რომელმაც გაიტანა ექვსივე ბურთი. ამრიგად, დანიის ნაკრები გავიდა ნახევარფინალში.

**ესპანეთი —ირლანდია:** 5-1 და 2-0.

ამ წყვილში აშკარა იყო ესპანელთა უპირატესობა, რომლებმაც გაიმარჯვეს ორივე შეხვედრაში. მათმა მწვრთნელმა ხოსე ვილიალონგამ აქცენტი ახალგაზრდებზე აილო და ამან გაამართლა.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ესპანეთი — უნგრეთი და სსრკ — დანია.

**სსრკ-დანიის** შეხვედრა ჩატარდა ბარსელონაში 70 000 მაყურებლის თანდასწრებით. ნახევარფინალისტთაგან დანიის ნაკრები იყო ყველაზე სუსტი. ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ვორონინმა, პირველივე ნახევარში პონედელნიკმა გაზარდა ანგარიში. მეორე ნახევარში კი ივანოვმა ანგარიში 3-0 გახადა. ასეთი შედეგით გაიმარჯვა სსრკ-ს ნაკრებმა და ზედიზედ მეორედ გავიდა ევრო თასის ფინალში.

**ესპანეთი-უნგრეთი** 2-1 (დ.დ.)

შეხვედრის 35-ე წუთზე სუარესის პასით პერედა ხსნის ანგარიშს, რაც ძალაში იყო 85-ე წუთამდე. ბენეს პასით ტიხიმ გაათანაბრა ანგარიში — 1-1. ასე დამთავრდა შეხვედრის ძირითადი დრო. დამატებითი დროის 112-ე წუთზე ამანსიომ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავით შეუცვალა მიმართულება და ესპანეთის ნაკრები გაიყვანა ფინალში.

მე-3 ადგილისათვის მატჩი ჩატარდა ბარსელონაში და ერთმანეთს **უნგრეთისა** და **დანიის** ნაკრებები შეხვდნენ.

ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ამ შეხვედრაში საჭირო გახდებოდა დამატებითი დროის დანიშვნა. შეხვედრის მე-11 წუთზე ბენემ ალბერტის მოწოდებული ბურთი ბადეში გაგზავნა. შეხვედრა შემდეგაც მიმდინარეობდა უნგრელთა აშკარა უპირატესობით, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა დანიელთა მეკარე ნილსენი, რომელიც აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. მეორე ნახევარი მიმდინარეობდა იმავე სცენარით, უტევდა უნგრელთა ნაკრები, ხოლო დანიელები კონტრშეტევით პასუხობდნენ და ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას 81-ე წუთზე ბერტელსენმა გაათანაბრა ანგარიში. დამატებით დროში უნგრელთა მცველმა ნოვაკმა შეძლო ორი გოლის გატანა, ჯერ 107-ე წუთზე გამოიყენა ალბერტის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი, ხოლო 111-ე წუთზე მანვე საჯარიმოთი მატჩს დაუსვა წერტილი, 3-1 უნგრელთა სასარგებლოდ და ისინი ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ.

ფინალს, რომელიც ჩატარდა მადრიდში, 120 000 მაყურებელი ესწრებოდა.

**ესპანეთი:** ირიბარი, რივილია, ოლიველია, ზოკო, კალეჰა, ფუსტე, სუარესი, პერედა, ამანსიო, მარსელინო, ლაპერტა.

**სსრკ:** იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, მუდრიკი, ვორონინი, კორნეევი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი.

შეხვედრის დასაწყისშივე პერედამ გახსნა ანგარიში, მაგრამ ორიოდე წუთში ჰუსაინოვმა გაქვითა იგი. პირველი ნახევარი დამთავრდა 1-1. მთელი მეორე ნახევარი მიმდინარეობდა მასპინძლების უპირატესობით, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ სუარესი და ამანსიო. შეხვედრის 84-ე წუთზე ესპანელები ახერხებენ მეორე გოლის გატანას, რომელიც შემდეგნაირად გავიდა: პერედამ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც მარსელინომ ვარდნაში თავით გაიტანა გამარჯვების გოლი — 2-1 და ესპანელებმა ევროპის თასი მოიპოვეს.

ჩემპიონატის მომსახურე ჟურნალისტებმა შეადგინეს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: ირიბარი (ესპანეთი), ნოვაკი (უნგრეთი), ოლიველია (ესპანეთი), შესტერნიოვი (სსრკ), ზოკო (ესპანეთი), ვორონინი (სსრკ), სუარესი (ესპანეთი), ალბერტი (უნგრეთი), ბენე (უნგრეთი), ამანსიო (ესპანეთი), პონედელნიკი (სსრკ). ევროპის თასის მეორე გათამაშებაში ქართველთა წვლილი შედარებით მოკრძალებული იყო, მხოლოდ ორმა მათგანმა რ. ურუშაძემ და ს. მეტრეველმა შესარჩევ ეტაპზე ჩაატარეს თითო შეხვედრა. ფინალურ ეტაპზე არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ მიუღია მონაწილეობა.

### ტექნიკური შედეგები:

**1/16 ფინალი.**

ესპანეთი — რუმინეთი 6-0 და 1-3; ჩრ. ირლანდია — პოლონეთი 2-0 და 2-0. დანია — მალტა 6-1 და 3-1; ირლანდია — ისლანდია 4-2 და 1-1; ალბანეთი — საბერძნეთი (საბერძნეთის უარი); გდრ — ჩეხოსლოვაკია 2-1 და 1-1; უნგრეთი — უელსი 3-1 და 1-1. იტალია — თურქეთი 6-0 და 1-0; ჰოლანდია — შვეიცარია 3-1 და 1-1; შვედეთი — ნორვეგია 2-0 და 1-1; იუგოსლავია — ბელგია 3-2 და 1-0; ბულგარეთი — პორტუგალია 3-1, 1-3 და 1-0; საფრანგეთი — ინგლისი 1-1 და 5-2.

**1/8 ფინალი**

ესპანეთი — ჩრ. ირლანდია 1-1 და 1-0. დანია — ალბანეთი 4-0 და 0-1. ავსტრია — ირლანდია 0-0 და 2-3. უნგრეთი — გდრ 3-3 და 2-1.
სსრკ — იტალია 2-0 და 1-1. ლუქსემბურგი — ჰოლანდია 1-1 და 2-1. იუგოსლავია — შვედეთი 0-0 და 2-3. საფრანგეთი — ბულგარეთი 0-1 და 3-1.

**1/4 ფინალი**

დანია — ლუქსემბურგი 3-3, 2-2 და 1-0. ესპანეთი — ირლანდია 5-1 და 2-0. უნგრეთი — საფრანგეთი 3-1 და 2-1. სსრკ — შვედეთი 1-1 და 3-1.

**ნახევარფინალი**

სსრკ — დანია 3-0
ესპანეთი — უნგრეთი 2-1 (დ.დ)

**მე-3 ადგილისთვის**

უნგრეთი — დანია 3-1 (დ.დ.)
ფინალი. მადრიდი. 120 000
***ესპანეთი — სსრკ 2-1.***
***ესპანეთი:*** ირიბარი, რივილია, ოლიველია, ზოკო, კოლეჰა, ფუსტე, სუარესი, პერედა; ამანსიო, მარსელინო, ლაპეტრა.
***სსრკ:*** იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, მუდრიკი, ვორონინი, კორნეევი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი.
***გოლები:*** პერედა 6 (1-0); ჰუსაინოვი 8 (1-1) მარსელინო 84 (2-1).
***მსაჯი:*** არტურ ჰოლანდი (ინგლისი).
***ტურნირის ბომბარდირი:*** ოლე მადსენი (დანია) — 11 ბურთი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რადიკალური ცვლილებები „სელტიკში“

გლაზგოს „სელტიკი“ წარუმატებლად გამოვიდა შოტლანდიის ჩემპიონატში, რამაც მის მესვეურებს რადიკალური ცვლილებებისაკენ უბიძგა. ამიერიდან მისი ტექნიკური დირექტორი გახდება ლეგენდარული კენი დალგლიში, მთავარ მწვრთნელად კი, სრულიად მოულოდნელად, მიწვეულია ცნობილი შავკანიანი თავდამსხმელი ჯონ ბარნსი, ადრე რომ ინგლისის ნაკრებში თამაშობდა, სულ ახლახან კი „ჩარლტონ ატლეტიკში“. ყოფილი მთავარი მწვრთნელი სლოვაკი იოზეფ ვენგლოში გუნდში რჩება, როგორც „ევროპელი სკაუტი“.

### „ბორუსიას“ ვილტორი აინტერესებს

გერმანული გაზეთი „ბილდი“ იუწყება, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ საფრანგეთის ნაკრების და „ბორდოს“ ცენტრალურ თავდამსხმელ სილვენ ვილტორით დაინტერესდა.

ფიქრობენ, ვილტორს შვეიცარიელ სტეფან შაპიუზაში გაცვლიან (ცხადია, შაპიუზას ფულსაც დაამატებენ). შაპიუზას ცუდი ურთიერთობა აქვს „ბორუსიას“ მწვრთნელ მიხაელ სკიბესთან, და, გარდა ამისა, სურს საფრანგეთის მოქალაქეობაც მიიღოს.

### დაე, დაამტკიცოს...

„არსენალის“ ფრანგმა ნახევარმცველმა ემანუილ პეტიმ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას უნდა წარუდგინოს ახსნა-განმარტება თავისი განცხადებების გამო, რომ „ინგლისური საფეხბურთო ელიტის ზოგი წარმომადგენელი სისტემატურად ეტანება ნარკოტიკებს“.

### ვინ იცნობდა ელი ბოპს!

44 წლის ელი ბოპი „ბორდოს“ მწვრთნელად 1998 წლის ზაფხულში დაინიშნა და პირველივე სეზონში კლუბს საფრანგეთის ჩემპიონობა მოუპოვა!

ელი ბოპი დაიბადა 1955 წლის 17 მარტს. თამაშობდა დაბალი ლიგების კლუბებში. 1983-1991 წლებში მუშაობდა „ტულუზას“ ახალგაზრდა მოთამაშეების მომზადების ცენტრში, 1991-1996 წლებში კი „სენტ-ეტიენის“ ასეთივე ცენტრში. 1996 წელს იგი „ბორდოს“ ტექნიკური შტაბის ერთ-ერთი წევრი გახდა. ეს არის და ეს, ახლა კი–

### არც რომარიო, არც ედმუნდო...

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ გამოაცხადა თავისი გუნდის შემადგენლობა „Copa Amer ica“-ს წინ. მასში არ არიან რომარიო, ედმუნდო, ჯოვანი, დენილსონი და ალდაირი.

### პირველი დივიზიონის ახალი წევრები

საფრანგეთის პირველი დივიზიონის სამი ახალი წევრია „სენტ-ეტიენი“, „სედანი“ და „ტრუაიე“.

როგორც ჩვენმა გულშემატკივრებმა იციან, „სენტ-ეტიენი“ ქვეყნის ყველაზე სახელოვანი კლუბია წარსულში უდიდესი წარმატებებით, მაგრამ ბოლო წლებში საქმე ძალიან ცუდად წაუვიდა. 1998-99 წლების სეზონი „სენტ-ეტიენმა“ მეორე დივიზიონში ძალიან კარგად წარმართა (თუმცა გამოჩენილი ოსტატები არ ჰყავდა) და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. ახლა მას მთელი ქალაქი უჭერს მხარს და აპირებს დიდი ტრადიციების აღორძინებას.

### ბებეტო ფარ-ხმალს არ ჰყრის

ბებეტო სულაც არ აპირებს ფეხბურთთან გამოთხოვებას, თუმცა ნაკრებში გამოსვლა აღარ მოუხდება. ახლა, „ბოტაფოგოსთან“ კონტრაქტი რომ დაუმთავრდა, ცნობილმა თავდამსხმელმა ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა მექსიკურ „ტოროს ნესასთან“.

### ჟარდელი - 36. შედეგიანობაც ამას ჰქვია!

ამას წინათ დამთავრებულ პორტუგალიის ჩემპიონატში გამარჯვებულ „პორტუს“ ცნობილმა ბრაზილიელმა სნაიპერმა ჟარდელმა 34 მატჩში 36 გოლი გაიტანა და მეორე ადგილზე გამოსული ნუნუ გომეში (ლისაბონის „ბენფიკა“) 12 გოლით ჩამოიტოვა, შედეგიანობაც ამას ჰქვია!

### ლიტვაში საგზურები განაწილდა

ლიტვის ჩემპიონი გახდა ვილნიუსის „ჟალგირისი“ (მწვრთნელი ევგენიუს რიაბოვასი), რომელიც „ჩემპიონთა ლიგის წინასწარ ჯგუფში გამოვა. მეორე ადგილზეა შაულიაის „კარედა“, მესამეზე — „კაუნასი“. ისინი იუეფას თასზე ითამაშებენ.

### ეს რა სიმკაცრეა?!

ქ. მარბელიას პროკურორმა მოითხოვა მადრიდის „ატლეტიკოს“ ცნობილი პრეზიდენტისა და შეთავსებით ამ ქალაქის მერის ხესუს ჰილის 34 წლით (!) დაპატიმრება, პოლიტიკური უფლებების 121 (!) წლით ჩამორთმევა და ქალაქის ხაზინისათვის 13 მილიარდი (!) დოლარის ჯარიმის გადახდევინება.

დავა ქალაქის მმართველობასა და მერს შორის, რომელიც ფეხბურთისგან მოუცლელობის გამო იშვიათად ჩადის ხოლმე მარბელიაში, კარგა ხანია გრძელდება.

# კასპაროვი და ანანდი – საჭადრაკო მწვერვალი XXI საუკუნის მიჯნაზე

კარგა ხნის დავის შემდეგ გადაწყდა მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვისა და ვიშვანათან ანანდის მატჩის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის „სპორტ-ექსპრესის“ მიმომხილველი იური ვასილიევი ესაუბრა გარი კასპაროვს.


გარი კასპაროვი

● ***მაშ ასე, თქვენ ახალ მატჩში შეხვდებით ანანდს. ძალიან კარგად მახსოვს თქვენი ორთაბრძოლა 1995 წელს ნიუ-იორკში: რვა პარტია ზედიზედ ყაიმით დასრულდა, მეცხრე წააგეთ, მეათე გარდამტეხი აღმოჩნდა. მას შემდეგ წლის პარტია ეწოდა, ხოლო სიახლეს, რომელიც იქ გამოიყენეთ, წლის სიახლე დაარქვეს. შემდეგ კი ფინიშზე ტრიუმფული წარმატება მოიპოვეთ. რას ფიქრობთ, ახლანდელ ანანდსა და თქვენს ახალ მატჩზე?***

— მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. ანანდიც შეიცვალა და მეც. ჭადრაკსაც დაეტყო ცვლილებები. ამ წლების განმავლობაში ჩვენი პირადი შეხვედრების ანგარიში ჩემს სასარგებლოდ შეიცვალა და ამან, უნდა ვიფიქროთ, ანანდს შეურყია რწმენა საკუთარ ძალებში. მაგრამ არის სერიოზული ფსიქოლოგიური მინუსიც: თუ 1995 წელს საჭადრაკო სამყარო სერიოზულად ფიქრობდა, რომ ანანდი უკვე მომწიფდა მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად, 1999 წელს უკვე ბევრი ამ ახალ მატჩს წმინდა წყლის ფორმალობად თვლის: მოვა ანანდი, თავის წილ ფულს წაიღებს და გამოგვემშვიდობება. რა უნდა მოეთხოვოს, კასპაროვთან ხომ „მინუს 10“ აქვსო. თუ კარგად ითამაშებს, უმნიშვნელო ანგარიშით წააგებს ან მატჩს ყაიმით დაამთავრებს — შესანიშნავია, ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. ყველას უძლვნის მომხიბლავ ღიმილს, ცოტა მორცხვადაც რომ ჩანს, და გამოგვემშვიდობება. თუ დიდი ანგარიშით წააგო, არც ეს არის საშიში. ვიში, შენგან რაიმეს არც მოვითხოვდით, დამშვიდდი, დაისვენე და ახალი ბრძოლებისათვის მოემზადე. ხუთი წლის შემდეგ გარი უფრო დაიღლება, მაშინ აშკარად გაგიმართლებს. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვანაირადაა. ანანდს დიდი საჭადრაკო ძალა აქვს, იგი უფრო მტკიცედ თამაშობს, ტექნიკური არსენალი გაიმრავალფეროვნა, დაიხვეწა, იგი ახლა უკვე თითქმის ყველა დებიუტს თამაშობს. იცის, როგორ მოემზადოს, როგორ გამოიყენოს კომპიუტერები... მისი დახმარების მსურველებიც ბევრი იქნება, რაც ოდნავადაც არ მაეჭვებს! ისიც ვთქვათ, რომ ანანდი საჭადრაკო ელიტის მოჭადრაკეთაგან ყველაზე სწრაფად თამაშობს, სწრაფად აღიქვამს პოზიციის თავისებურებას, ჩავარდნების გარეშე იბრძვის, კარგად შეისწავლა საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ყველა მიღწევა. ვიცი, რომ უნდა შევხვდე მშვენივრად მომზადებულ მეტოქეს, ახალგაზრდას, ჯან-ღონით სავსეს, რომელმაც ბედნიერი ქორწინების შემდეგ სულიერი სიმშვიდე მოიპოვა, ცხოვრებაში არაფრის დარდი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ჭადრაკი კარგად უნდა ითამაშოს. ასე რომ, ჩემს გულშემატკივრებს ვთხოვ მეტისმეტი ოპტიმიზმისაგან თავი შეიკავონ. მატჩი მსოფლიო პირველობაზე მეტად ძნელი გამოცდაა. გარდა ამისა, თუკი ანანდი ვინმეს ჩამოუვარდება თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალური ეფექტით გამოყენებაში, ეს მხოლოდ მე.

● ***როგორა გაქვთ თანაშემწის საქმე? მახსოვს ანანდისთან წინა მატჩის დასაწყისში თქვენს ბანაკში მოულოდნელად გამოჩნდა კრამნიკი. ახლა თქვენს მწვრთნელთა ბრიგადაში რომელიმე დიდი მოჭადრაკე ხომ არ იქნება?***

— კრამნიკი ნამდვილად არ იქნება (იცინის). ისევე, როგორც არც ერთი სხვა ვარსკვლავი საჭადრაკო ელიტიდან. ჩემი ბრიგადა ჩვეულებრივი იქნება, ახლებიდან კი გამოჩნდებიან ისინი, ვისთანაც მე ვთანამშრომლობდი „კასპაროვის კლუბის“ ჩამოყალიბების პროცესში.

● ***მატჩის ახალი რეგლამენტი — 16 პარტია — რაიმეს ცვლის პრინციპულად მზადებისა და ბრძოლის საკითხში?***

— თანაც როგორ ცვლის! ეს ხომ უკვე 24 პარტია არ არის და არც 20. თითოეული ქულის ფასი იზრდება. უკვე მე-12 პარტიისათვის დადგება ფინიში. თუკი ადრე შეიძლებოდა თავისთვის ნელნელა საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესება, სტარტზე ზედიზედ რვა შეხვედრის ყაიმით დასრულება, მეცხრეს წაგება, მეათეში ანგარიშის გათანაბრება და მატჩის მეორე ნახევარზე იმედის დამყარება, ახლა მე-12 პარტიისათვის ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება. ამასთან, მნიშვნელოვანია, არა თვითონ რიცხვი 16 არამედ, იმის გააზრება, რომ ახლანდელი მატჩის შუაგული იმ ორთაბრძოლების სტარტს უდრის, რომელსაც ვთამაშობდი, ვთქვათ, კარპოვთან, 80-იან წლებში. დიახ, ასე იყო: 6-7 პარტია მატჩის დასაწყისად ითვლებოდა, ნელ-ნელა ვიწყებდით სრული ძალით თამაშს. ახლა კი პარტიების ასეთი რიცხვით უკვე მატჩის შუაგული დგება. ამას დაუმატეთ მკაცრი გრაფიკიც — კვირაში 4 პარტია უტაიმ-აუტოდ. მას გაცილებით მეტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაძაბულობა დასჭირდება, ვიდრე ადრე იყო, ამასთან, მატჩის წინ მზადებაც იცვლება — დისტანციის შემცირების გამო საჭიროა თავიდანვე სწორი გეგმის არჩევა. და ეს მაშინ, როდესაც ანანდი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად თავისუფალი იქნება. რას ჰკარგავს! ამაზე უკვე ვილაპარაკე. ადრე მას სწორედ პასუხისმგებლობის უდიდესი ტვირთი აწვებოდა ხოლმე: უნდა მოეგო ლინარესი, თავის სამშობლოში, ინდოეთში კამსკი დაემარცხებინა, ნიუ-იორკში კასპაროვთან მატჩი მოეგო. როცა ამდენი პრობლემის წინაშე იდგა, ანანდი ასეთ ფსიქოლოგიურ სტრესს ვერ უძლებდა. ახლა კი მას თითქოს არაფერი სჭირდება. არავითარ რისკს არ გასწევს, ეს კი მას მეტისმეტად სახიფათოს გახდის.

● ***ხომ არ შეგიძლიათ მომავალი მატჩის ვადები დააზუსტოთ?***

— იგი 20 ოქტომბერზე ადრე არ დაიწყება, 30 ნოემბერზე ადრე არ დამთავრდება.

● ***სად ითამაშებთ?***

— ძალზე სავარაუდოა, რომ — სანფრანცისკოში. მაგრამ, რადგან ამერიკელები ნიუ-იორკს სამყაროს ცენტრად წარმოიდგენენ, შეიძლება სპონსორებმა სწორედ იგი აირჩიონ. ამასთან, იმის საფუძველიც არსებობს, რომ შეხვედრა ლონდონში გაიმართოს. ისე კი, არ არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, სად გაიმართება ეს მატჩი. მთავარია, იმ ვადებში ჩატარდეს, რომლებიც კონტრაქტშია აღნიშნული, ამაზე კი უკვე ვისაუბრეთ.

*(გაგრძელება იქნება)*

# ლოკაუტს უქმად არ ჩაუვლია

კალათბურთის მოყვარულებს აშკარად ახსოვთ ნბა-ს გუნდების შარშანდელი ბოიკოტი, რომელმაც რამდენიმე თვეს გასტანა. ისიც ემახსოვრებათ, რომ გაფიცული სპორტსმენები გულხელდაკრეფილი არ მინდობიან ბედს და ბევრმა სხვა შემოსავლის წყაროს მიაგნო. ზოგმა კინოხელოვნებას მიაშურა, ზოგმა კი რას. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ფორვარდმა როდმანმა და მეორე ვარსკვლავმა კარლ მელოუნმა პროფესიულ ჭიდაობაშიც სცადეს გამოსვლა.

ეტყობა პირველ მათგანს ჭკუაში დაუჯდა ახალი გატაცება და 37 წლის როდმანი ამ ზაფხულს კვლავ აპირებს პროფესიულ ჭიდაობაში გამოსვლას და ხელი მოაწერა რესლინგის მსოფლიო ლიგის კონტრაქტს, რომ ზაფხულში, სულ ცოტა ხუთ ბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას. პირველ შეხვედრას 5 ივლისს გამართავს, ბოლოს — 14 აგვისტოს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**25 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბი (20.05), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. (13.20, 15.05,17.15, 19.15, 21.05, 22.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (12.25, 15.40). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (11.00, 12.30, 15.00); ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „ასტონ ვილა“ – „არსენალი“ (18.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (12.30, 20.30, 0.00), სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.30, 16.00, 18.15, 22.00, 2.00).

**შაბათი, 26 ივნისი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „დრიბლინგი“ (22.30); კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (23.30), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ (14.00), ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (18.35), „ყველა დროის მატჩები“. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (19.15), მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (21.55). ესპანეთის თასის ფინალი (23.55).

**27 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში (ფინალი) (23.25). ***რუსთავი-2,*** სპორტული პროგრამა (20.30), ***კავკასია,*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (13.15, 15.00, 21.50). ესპანეთის თასი. ფინალი (16.45), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (14.10, 16.40). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (3.00), ფეხბურთი. „ფლამენგო“ – „ვასკო და გამა“, ბრაზილიიდან (5.00), კალათბურთი. ნბა (18.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (განმეორებით): „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბაიერნი“ (20.00).

## საჭადრაკო მერიდიანზე

# „ჩეს კლასიკი“ მაინის ფრანკფურტში

29 ივნისს მაინის ფრანკფურტში დაიწყება და 4 ივლისამდე გაგრძელდება დიდი საჭადრაკო ფესტივალი „ჩეს კლასიკის“ სახელწოდებით, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება.

მთავარ ინტერესს იწვევს ორწრიანი ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, რომელსაც მონაწილეების მეტად მაღალი საერთო რეიტინგის (2764) გამო ფიდეს უმაღლესი, 21-ე კატეგორია მიენიჭა. მასში ოთხი დიდოსტატი გამოვა. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი (რუსეთი, კოეფ. 2812), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2781, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2721, მესამე რეიტინგის მქონე მსოფლიოში) და ანატოლი კარპოვი (რუსეთი, 2710, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით).

ეს არის კასპაროვისა და კარპოვის პირველი შეხვედრა 1996 წლის შემდეგ. ამასთან, სწრაფი პარტიები მათ ერთმანეთთან არასოდეს უთამაშიათ.

გარდა ამისა, დიდ ინტერესს იწვევს მეთვრამეტე კატეგორიის (საერთო რეიტინგი 2678) საერთაშორისო ტურნირი ასევე სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები: ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2723, მეხუთე მსოფლიო „რანგ-ლისტში“), მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2716, მეექვსე მსოფლიო „რანგ-ლისტში“), პეტრე სვიდლერი (რუსეთი, 2713), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2700), პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2694), იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2677), კრისტოფერ ლუტცი (გერმანია, 2610) და მსოფლიო ჩემპიონი კომპიუტერებს შორის „ფრიტც-6“ (გერმანია, 2589).

გარდა ამისა, პროგრამაშია იუდით პოლგარის ერთდროული თამაშის სეანსი, რომლის თითოეულმა მონაწილემ (ყველა ისინი შავებით ითამაშებენ) 75 გერმანული მარკა უნდა გადაიხადოს, და ვიშვანათან ანანდის შეხვედრა კომპიუტერების ჩემპიონ „ფრიტც-6“-თან.

ჩატარდება საერთაშორისო ტურნირები დიდოსტატთა, ოსტატთა და მოყვარულთა მონაწილეობით.

# 9-18 ივლისს დორტმუნდში

ვეიკ-ან-ზეეს, ლინარესის, დოსერმანასისა და სარაევოს შემდეგ წლეულს მეხუთე სუპერტურნირი 9-18 ივლისს დორტმუნდში (გერმანია) გაიმართება.

მასში 8 უძლიერესი დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას: მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რუსეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია) და ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა).

# ბრედ გილბერტის აზრით

ანდრე აგასის მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ბრედ გილბერტი საინტერესო წიგნის ავტორია, რომელსაც „ულამაზოდ გამარჯვება“ ჰქვია. აი, რას წერს იგი აგასის შესახებ: „ჩემს ცხოვრებაში ძალზე ბევრი ადამიანი შემხვედრია“. აგასი მათ შორის ერთადერთია, რომელსაც ტალანტი თვით ღმერთისაგან აქვს მინიჭებული. ზოგჯერ მისგან ბევრს მოელი, ცოტას კი გაძლევს. სხვა შემთხვევაში, როდესაც აგასისაგან არაფერს ელი, იგი ფანტასტიკურ ამბებს გვთავაზობს.

1-3. სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი 1987 და 1993 წლებში. 2-5. 1962 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 4-7. 50-60-იანი წლების ცნობილი რუსი ტანმოვარჯიშე, 6-9. წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი, 8-11. ბრაზილიელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 10-13. 40-50 წლების ცნობილი რუსი ძალოსანი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, 12-15. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი 1972-80 წლებში, 14-17. წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 16-19. მსოფლიოს საუკეთესო მეკარე 1989-91 წლებში, 18-21. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 20-23. 1966 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 22-25. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 24-27 ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 26-29. რუსი ძალოსანი, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში, 28-31. გამოჩენილი რუსი მწვრთნელი ჰოკეიში, 30-33. წარსულში ცნობილი ესპანელი მწვრთნელი ფეხბურთში, 32-35. თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი 1967-75 წლებში, 34.37. „აიაქსის“ თავდამსხმელი, 36-39. წარსულში ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 38-41. ლეგენდარული ეთიოპიელი მორბენალი, 40-43. სახელგანთქმული რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, 42-45 წარსულში ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი, 44-47. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 46-49. რუსი სიმაღლეზე მხტომელი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, 48-51. წარსულში გამოჩენილი იუგოსლაველი კალათბურთელი, 50-53. 1996 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 52-55. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 54-57. სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 56-59. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 58-61. იტალიელი წყალში მხტომელი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 60-63. „ბოლონიას“ თავდამსხმელი, 62-65. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 64-67. „პარმას“ თავდამსხმელი, 66-69. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 68-71. კიევის „დინამოს“ მწვრთნელი, 70-73. 60-70-იანი წლების ცნობილი შვედი თავდამსხმელი, 72-75. 1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 74-77. „ფიორენტინას“ მცველი, 76-79. 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 78-81. ჰოლანდიელი ძიუდოისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 80-83. წარსულში ცნობილი მექსიკელი მეკარე, 82-85. საფრანგეთის საკალათბურთო კლუბი, 84-87. „ტოტენჰემის“ ფრანგი ფეხბურთელი, 86-89. 1962 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი, 88-91. „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი, 90-93. გერმანელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი, 92-95. 1978-79 წლების „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 94-97. ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში, 96-99. 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, 98-100. თბილისის „დინამოს“ ყოფილი კალათბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი.



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:



**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. D4! მუქარა 2. მd3X.
1. ...ე:d4 2. ლ:d4X. 1. ...კc4 2. კc1X.
1. ...კf5 2. მ:h5X. 1. ...მe5 2. ლ:h6X.
1. ...ეc3 2. მ:h5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე